საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 სექტემბერი, 2015 წელი.

№171 (7816)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

მევენახეები ნაციონალთა პროვოკაციაზე წამოეგნენ

4

გოგა ხაინდრავა:

- **ინგა გრიგოლიას გულისთვის არა თუ ლონდონში არ წავიდოდი, ზედმეტად საპირფარეშოშიც არ შევალ...**
- **„რუსთავი-2“ წლების განმავლობაში იყო და არის საოსკიპო დაწესებულება. საოსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკმაყოფილებენ...**

3

საიდან საიდან, ცოდვილო „საბაო“?!

საკუთარი ინტერესების დაცვა თუ მაამებლური პოლიტიკა?

5

კვირაძის საკითხავი

„კვერცხ-თავიანების საიდუმლო“

6

მწერალ რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების გამო

გუშინ ქუთაისიდან ფრიად და ფრიად სამწუხარო ზარი გაისმა რედაქციაში – გარდაიცვალა უდავოდ ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი მწერალი, სსრკ სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ჟურნალ „ოგონიოკის“ და „საბას“ პრემიების ლაურეატი, ღირსებისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე



რეზო ბენედიქტის ძე ჭეიშვილი

რეზო ჭეიშვილი დაიბადა 1933 წლის 24 აპრილს ქუთაისში. მკითხველი მას იცნობს როგორც არაერთი საუკეთესო რომანისა და მოთხრობის, არაერთი დიდად გახმაურებული კინოსცენარის ავტორს, როგორც ღირსეულ მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლის მართალი და ორლესული სატევარივით მახვილი სიტყვა არცროდის არ დაბლაგვებია ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ დიდი გულისტკივილით იუწყება მართლაც დიდებული ადამიანისა და მწერლის, ქართული კლასიკური მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დიდოსტატურად გამგრძელებლისა და თვალსამჩენოდ გამამდიდრებლის რეზო ჭეიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მთელ ჩვენს ქართველ საზოგადოებას, მწერლის ყველა მკითხველსა და მისი დიდი ნიჭიერების ყველა დამფასებელს.

პრეზიდენტის სამძიმარი მწერლის ოჯახს

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** მწერალ რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყნის პირველი პირი ჩანაწერს სოციალურ ქსელში აკეთებს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ მწერალ რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების გამო. რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას, მის განუმეორებელ ხელწერას და ჰუმანიზმს ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უკავია.

ვწუხვარ ამ დიდი დანაკლისის გამო და თანადგომას ვუცხადებ მის ოჯახს და ახლობლებს“.

ირაკლი ღარიბაშვილი მწუხარებას გამოთქვამს

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი მწერლისა და დრამატურგის რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების გამო.

რეზო ჭეიშვილმა თავისი შემოქმედებით მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართულ მწერლობას. დიდია მისი ღვაწლი ქართულ კინემატოგრაფიაშიც. რეზო ჭეიშვილის სცენარით არაერთი ფილმია გადაღებული, რომლებიც ქართული კინოს საუკეთესო ნიმუშებად არიან მიჩნეული.

თანავუგრძნობ რეზო ჭეიშვილის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებსა და ქართველ საზოგადოებას“, – ნათქვამია **პრემიერის** სამძიმარში.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საერთაშორისო ვიზიტი ჩინეთში წარმატებით გრძელდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის მმართველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპარტამენტის მინისტრს ვანგ ძიარუის შეხვდა.

მისასალმებელ სიტყვაში მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მოხარულია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებით, რომელიც უფრო დინამიური გახდა ბოლო ორი წლის მანძილზე.

„მიუხედავად რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური სისტემებისა, ჩინეთს და საქართველოს საერთო ინტერესი გვაქვს, რომელიც ეკონომიკაზე გადის“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო უნდა გახდეს ეკონომიკური და პოლიტიკური მოლაპარაკებების, მშვიდობის ადგილი ევროპისა და აზიისათვის.

მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი ოფიციალურ საუზმეზეც გაგრძელდა, რომელიც ჩინეთის მმართველი პარტიის საერთაშორისო დეპარტამენტის მინისტრმა ვანგ ძიარუიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად გამართა.

ირაკლი ღარიბაშვილს საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პეკინის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტმა საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭა.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მეთაური პეკინის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში სიტყვით წარსდგა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს და აღნიშნა, რომ მსგავსი საზეიმო განცდა უნივერსიტეტში დიპლომის აღების დროს ჰქონდა.

ვრცელ გამოსვლაში ირაკლი ღარიბაშვილმა ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო კავშირებზე, საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებსა და „ახალი აბრეშუმის გზის“ პესპექტივებზე ისაუბრა. მისი თქმით, საუკუნეების წინ ხანგრძლივი მოგზაურობა ჩინეთიდან ევროპისკენ და პირიქით იწყებოდა და მთავრდებოდა საქართველოში.

„წელს ჩვენ აღვადგინეთ სწრაფი სარკინიგზო კავშირი ჩინეთსა და საქართველოს შორის, რითაც სახმელეთო მარშრუტმა დაიბრუნა ევროპისკენ მიმავალი უსწრაფესი გზის სტატუსი. ეს მოხდა პირველად მას შემდეგ, რაც 1513 წელს პორტუგალიელთა კარაველები ჩინეთის სანაპიროებს მიადგნენ. დღეს მიმდინარეობს აბრეშუმის გზის გამოცოცხლება და ჩვენი ქვეყნების დაახლოება. იმედია, რომ არა მხოლოდ ვაჭრობა, არამედ ადამიანები, იდეები, ცოდნა და კულტურა კვლავაც გაამდიდრებენ ჩვენს ურთიერთობებს,“ – განაცხადა პრემიერმა.

◎ არეული მონასტერი უნდა დალაგდეს

ხალიჩა გააამზადეთ... სააკაშვილი მოდის!

სახუმაროდ ნამდვილად არ არის საქმე – საზოგადოებას უკვე აჩვევენ იმას, რომ შესაძლოა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის პირველ ნომრად მოგვევლინოს!

იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, ბოლომდე გაკოტრებულ „ნაცმოძრაობას“ ფიგარო სააკაშვილმა უშველოს, მაგრამ, იმის დაშვებაც კი, რომ შეიძლება ძებნილი პრეზიდენტყოფილი დამნაშავე რეჟიმის სათავეში შეიძლება მოგვევლინოს, საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია!

თუმცა, არაფერია გამორიცხული – „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი „მოახერხა“, რომ კოჰაბიტაციის წყალობით, არათუ დაპირებული სამართლიანობის აღდგენას, არამედ, დამნაშავე რეჟიმის „გაპრავებას“ შეუწყო ხელი და ხალხი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა...

დიახ, რეალობა ასეთია და ახლა გინდათ დღევანდელი ხელისუფლების უნიათობას და გინდათ უმოქმედობას დავაბრალოთ ის, რომ ძებნილი (ისიც საკითხავია, ნამდვილად „ეძებენ“ თუ თვალს გვიხვევენ!) სააკაშვილი მეზობელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ჩინოვნიკია და არ არის გამორიცხული, ამავე ქვეყნის პრემიერ-მინისტრობასაც გამოკრას ხელი, ეს მიგვანიშნებს, რომ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ დაგვცინიან და საჭიროების შემთხვევაში გვაიძულებენ კიდეც – ვაღიაროთ ნაციონალური რეჟიმის უდანაშაულობა და სააკაშვილსაც თბილისის აეროპორტში წითელი ხალიჩები დავუფინოთ.

აკი გაგვაფრთხილა კიდეც ბატონმა განაპოლსკიმ – სააკაშვილი ტრიუმფით დაბრუნდება საქართველოშიო!

ნაციონალების ერთ-ერთი „გამოკვეთილი“ სახე – ბატონი დავით დარჩიაშვილი არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილმა უარი თქვას მეზობელი სახელმწიფოს ჩინოვნიკობაზე და საქართველოში დაბრუნდეს, რათა ბოლომდე „მიიყვანოს“ დაწყებული რეფორმები...

საყურადღებოა დარჩიაშვილის განცხადება, რომ სააკაშვილი რეგიონალურ ლიდერად ჩამოყალიბდა და იგი ყოველთვის იქ დადგება, სადაც ამის აუცილებლობა იარსებებს.

ის, რომ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს, არ უნდა გაგვიკვირდეს – მით უმეტეს, თუ მისი „პარტნიორებიც“ ასე ჩათვლიან!

ცალკე საუბრის თემაა სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერება, რომელიც კიდევ ერთი შემოლაწუნება იქნება საქართველოსთვის!

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც საქართველოში, უკრაინაშიც უკრაინელ ხალხს არავინ არაფერს ეკითხება, უცხო ქვეყანაში სააკაშვილის გაპრემიერება მართლაც უდიდესი ნახტომი იქნება საქართველოში მისი ტრიუმფით დასაბრუნებლად...

რა ქნას ხალხმა – შეეგუოს ასეთ სახიფათო პრესპექტივას, თუ დადგეს ერთ სულ და ერთ ხორც და მოქმედ ხელისუფლებას მოსთხოვოს – გამოიყენოს მის ხელთ არსებული კონსტიტუციური ბერკეტები და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას ნაცმოძრაობის პარპაშს საქართველოში?! რა თქმა უნდა, სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არსებობს!

არეული მონასტერი უნდა დალაგდეს!

საბა საბახტარაშვილი

◎ სეტყვამ ბაღები გაანადგურა

რატომ გაძვირდა ხილი საქართველოში?

ძართულ ბაზარზე ხილი, განსაკუთრებით ვაშლი, წელს ძალიან გაძვირდა. თუ შარშან ამ დროს საშუალო ხარისხის ვაშლს 1,00-1,50 ლარად შეიძენდით, წელს მისი ფასი უკვე 2,00-2,50 ლარია. საქსტატის მონაცემებით, 2013 წელთან შედარებით, საქართველოში გასულ წელს 229 ათასი ტონა ხილი აწარმოეს, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე (217,6 ათასი ტონა) 5,5%-ით მეტია. ჯერჯერობით არ ვიცით, როგორი იქნება წლევანდელი სტატისტიკა, თუმცა მოსავლის მიხედვით სერიოზულ წინსვლას არ უნდა ველოდეთ. მოგეხსენებათ, ხილის დიდი ნაწილი ქართლში მოდის, ქართლის სოფლების უმეტესობა კი, წელს დაისეტყვა.



როგორც ფერმერმა კახა ბიჭიკაშვილმა გვითხრა, ვაშლის ბაღების დიდი ნაწილი სეტყვამ გაანადგურა, „წელს ბაღები სულ დაისეტყვა. მე მაგალითად, ათი ტონა ვაშლი გამიფუჭა სეტყვამ, რაც დარჩა, ნაკლები ხარისხისაა და ახლა 10 თეთრად უნდა ჩავაბარო, სხვა გზა არ არის. იმავე მდგომარეობაშია ყველა, ვისაც ვიცნობ. რაც ღირებული ხილი გვქონდა, სეტყვამ სულ გაგვინადგურა. სტიქიურ მოვლენას მხოლოდ ინტენსიური ბაღები გადაურჩა, რომელთა რაოდენობა არც ისე დიდია. გაყიდვაზე, ან სადმე გატანაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან წელს ვაშლი თითქმის არ გვაქვს, ქართლის სოფლების 90 პროცენტი დაისეტყვა. რა თქმა უნდა, სეტყვამ ვაშლიც დააზიანა და სხვა ხილიც“, – აღნიშნა კახა ბიჭიკაშვილმა.

როგორც ფერმერები ამბობენ, პატარა ფირმები, რომლებიც ექსპორტით იყვნენ დაკავებული, იძულებლნი გახდნენ, გაჩერებულიყვნენ. ხილი არ არის და სწორედ ამიტომ, ბაზარზე მისი ფასი ძალიან მაღალია.

„გლეხების უმრავლესობამ მოსავალი ვერ მოიწია და რა თქმა უნდა, ხილიც გაძვირდა. ამ ზარალის ანაზღაურება პრაქტიკულად შეუძლებელია. ახლა მხოლოდ ყურძნის მოსავლის იმედად ვართ, მაგრამ ჩვენი მთავარი შემოსავალი მაინც ვაშლი იყო. ვაშლის ბაღები განადგურებულია. დაზღვევამაც მოგვატყუა: მოსავლის განადგურების შემთხვევაში ჩემთვის მაგალითად, 97 ათასი ლარი უნდა მოეცათ და ახლა 7 ათასს მთავაზობენ. ამაზეც უარი ვთქვი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სოფლის მეურნეობა ამ ქვეყანაში არავის აინტერესებს.

შექმნილმა სიტუაციამ ექსპორტზეც უარყოფითად იმოქმედა, თუ ადრე გლეხებიც ცდილობდნენ თავიანთი პროდუქცია რუსეთში, სომხეთში ან სხვა ქვეყანაში გაეტანათ, ახლა ამას ექსპორტიორებიც ვეღარ ახერხებენ“, – ამბობს კახა ბიჭიკაშვილი.

ფერმერი ვასილ მაისურაძის თქმით, დოლარის გაძვირების გამო, პროდუქციის სხვა ქვეყნებში გატანას აზრი დაეკარგა.

ხათუნა ჩიგოგიძე

მოსალოდნელი სტიქია რომ აპირიდოთ

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტმა 13 ივნისის მეწყრის შედეგად ფერდობებზე დარჩენილი ის მასა დათვალა, რომელიც უხვი ნალექის ან მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლოა, ჩამოწვეს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თეა გოდოლაძემ განაცხადა, რომ ეს მასა ჩამოწოლის შემთხვევაში იგივე მასშტაბის საფრთხეს არ შექმნის, როგორც 13 ივნისს, თუმცა, გარკვეული მიმართულებებით საშიშია.

„მეწყრის ტანი დავყავით ძირითად სამ ობიექტად. პირველადი შედეგი რაც გვაქვს, წყნეთი-ბეთანიის გზის ზემოთ დაახლოებით დარჩენილია 186 650 კუბური მეტრი, მეწყრის თავზე 37 000 კუბური მეტრი, წყნეთი-ახალდაბის გზის მონაკვეთზე 145 კუბური მეტრი მასალაა დარჩენილი, რაც საშიშია ამ გზისთვის. ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ეს მასა შესაძლოა დაიძრას და საფრთხე შექმას. მთლიანობაში დარჩენილია 348 650 კუბური მეტრი მასალა. ეს შედეგები ეყრდნობა გეოთეზიურ აგეგმვებს, ეყრდნობა გეოფიზიკურ კვლევას და ეყრდნობა გეოლოგიურ აგეგმვას. თუ ჩამოწვება, იმ მასშტაბებს არ მიაღწევს, რადგან მეწყერის მოცულობა 13 ივნისს შეადგენდა 1 200 000 კუბურ მეტრს, ახლა კი დარჩენილია 368 000 კუბური მეტრი. ორი შემთხვევა არის ყველაზე ხელისშემწყობი, რომ დაძრას ეს მასა – ძლიერი მიწისძვრა და უხვი ნალექი, ოღონდ არაერთჯერადი ნალექი. უხვნალექიანობა გრუნტის მოწყვლადობისთვის უნდა გრძელდებოდეს რამდენიმე დღის ან რამდენიმე თვის განმავლობაში. თუ ზღვრულ მაჩვენებელს გადააჭარბა კონკრეტულ ფართზე მოსულმა ჯამურმა ნალექმა, ასეთ შემთხვევაში ეს უკვე ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს, რომ ნარჩენი მასალა დაიძრას“, – განაცხადა გოდოლაძემ.

მისივე თქმით, არსებობს მეთოდები, რომელიც ახალი კერების ჩამოწოლისგან პრევენციას მოახდენს.

„არსებობს ასეთი მეთოდი, რომელიც გულისხმობს ე.წ. ჩუმი აფეთქებებით ამ მასალის დაძვრას, თუმცა არასწორი მოდელირების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი პრობლემები შექმნას, ამიტომ ესეც სკულპულოზურად გასათვლელი და დასათვლელია. თუ ამ გზით წავალთ, აუცილებელია საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, ტექნოლოგია ძალიან არის განვითარებული და შესაძლებელია ამ გზით წასვლა. მთლიანობაში, უნდა ჩატარდეს სამეცნიერო საფუძვლიანი კვლევა, რომელიც იქნება კარგად გაწერილი და რომელსაც მივყვებით ნაბიჯ-ნაბიჯ“, – განახცადა გოდოლაძემ.

საიდან საღამ, ცოდვილო „საბამ“?!

ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის...
გალაკტიონი.

არასოდეს ისე ცხადად არ მიგრძნია გალაკტიონის გენიალური პარადოქსის ჭეშმარიტება, როგორც „საბა -2015“ - ის ცერემონიალზე, რამდენიმე დღის წინათ მუხრან-ბატონის სასახლემ რომ უმასპინძლა.

ორიოდე დღით ადრე, „ობიექტივის“ ეთერში, ქალბატონმა **ია ბაგრატიონ-მუხრანელმა** არისტოკრატიულად მწარე ირონიით განაცხადა: „მე, მუხრანელ ბაგრატიონს, მუხრანში ერთი კვადრატული მიწის ნაკვეთიც არა მაქვს, მუხრან-ბატონის სასახლეს კი დღეს ხაზარ-ბატონი დაჰპატრონებია“...

ეს ფაქტიც გალაკტიონისეული პარადოქსის ჭეშმარიტებას ადასტურებს.

ქალბატონი იას ხუმრობის კვალობაზე, ხსენებულმა ცერემონიალმა ერთი იდეა გამიჩინა: რა შუაშია ამ ყველაფერთან სულხან-საბა, ალბათ, საფლავში რომ ბრუნავს?! დაარქვან პრემიას „ხაზარი“ და მოასვენონ მარად და ყველგან საქართველოს თანამდევი უკვდავი სული.

არა, ბევრჯერ აღვშფოთებულვართ, მაგრამ ეს მაინც ყველაზე უარესი „საბა“ იყო. მაინც მეგონა, რომ ორგანიზატორები და ჟიური იქ შეკრებილ საზოგადოებას ესოდენ არ შეურაცხყოფდნენ და „შიზოგადოებად“ არ გარდააქცევდნენ.

დიახ, დიახ, „შიზოგადოებად“ – სწორედ ასე ჰქვია პაატა შამუგიას ლექსების კრებულს, რომელსაც „საბა“ არგუნეს. მართალია, ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის, მაგრამ მაინც არგუნეს. მადლობა რომ გადაუხადა, ასე ბრძანა, მადლობელი ვარ, რომ ჟიურიმ ეს პრემია მეორედ მარგოო.

ისე, რას ვერჩით, ასე უფრო ზუსტია – არგეს!

არ გვშურს, შეერგოს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, არც ჟიურის რომ არაფერი ეშველება და არც დაჯილდოებულს.

ჟიურის შემადგენლობა? – საკმარისია, ორი წევრი დაგისახელოთ, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს:

ლევან ბერძენიშვილი – უთუოდ გაგახსენდებათ მისი „უჭკნობი“ ფრაზა: „ილია ჭავჭავაძე? – ასეთ მწერალს არ ვიცნობ. მაინცდამაინც არც აკაკი მომწონს.“

სამაგიეროდ, შამუგიას იცნობს.

იცნობს და მოსწონს!.

ზურაბ კიკნაძე – ეს სახელ-გვარი, უდავო დამსახურებებთან ერთად, ერთ ცნობილ ხუმრობასაც გაგვახსენებს: შალვა ნუცუბიძეს უთქვამს ერთხელ კორნელი კეკელიძეზე, მაგან ქრისტეს უღალატა და რა გასაკვირია, მე რომ მიღალატოსო.

ჩვენს შემთხვევაში, შესაბამის ადგილზე მართლმადიდებლობა და ლიტერატურა უნდა ჩავსვათ და, არსებითად, იგივე გამოვა.

ჟიურის დანარჩენ წევრთა დასახელება ვის რას ეტყვის, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს: **ქეთი ქანთარია, ზვიად რატიანი, დათო ტურაშვილი.**

ამათგან პირველი უხერხულობას საერთოდ არ გრძნობდა, მეორეს, შიგადაშიგ, აშკარად რცხვენოდა, ტურაშვილი არ ესწრებოდა და ძნელი სათქმელია. ხანდახან მაინც თუ გაწითლდებოდა.

გაწითლების საბაბი კი მრავლად იყო...

ნომინაცია: „საუკეთესო პროზაული კრებული“ – გამარჯვებულია ...მხატვარი(?);

ნომინაცია: „საუკეთესო დოკუმენტური პროზა და ესეისტიკა“ – გამარჯვებულია... კინორეჟისორი(?!)...

საქართველოში პროზაიკოსებს წერა დავიწყებიათ და საუკეთესო კალმოსნებად ყალმოსნები ქცეულან(?!);

საქართველოში პუბლიცისტებს წერა დავიწყებიათ და საუკეთესო ესეისტებად კინოდოკუმენტალისტები ქცეულან(?!)...

და ამის შემდეგ გვეუბნებიან, რომ ეს წლის მთავარი ლიტერატურული მოვლენაა(?!).

ბატონი **გოგი ჩაგელიშვილი** არა მხოლოდ კარგი მხატვარია (ეს აქამდეც ვიცოდით), ღირსეული პიროვნებაც აღმოჩნდა და, უნებურად, ჟიურის მწარე განაჩენი გამოუტანა – ორმოცი წელიწადია, ვხატავ და ერთი სიგელიც არ მოუციათ, რაღაცა დავწერე და „საბა“ მომანიჭესო (ვინ იცის, რამდენ ნახატად დაუჯდება?!)...

ღირს გაგრძელება?!

„საბა“ ხომ ისედაც სახელგატეხილია, ახალი რაღა უნდა ვთქვათ.

მაგრამ თვითონ ცერემონიალზეც აუცილებლად უნდა ითქვას.

ასეთი უაზრო და უფერული მუსიკალური გაფორმება „საბას“ არასოდეს ჰქონია.

ვახტანგ კახიძემ კი დაგვამშვიდა, დიდხანს არ შეგაწუხებთო, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მომღერლებმა არც კი იცოდნენ, რას მღეროდნენ.

მომღერლები ვინ იყვნენ? – **ნეკა სებისკვერაძე** (ნაციონალების უჭკნობი სახე), **მაკა ზამბახიძე** (თითქმის იგივე), **გიორგი სუხიტაშვილი** და **ნატო კახიძე** (ამათგან ყველაზე უფერული).

შიგადაშიგ მოისმოდა ინტონაციები, რითაც წლების წინათ დიდებული **ჯანსუღ კახიძე** გვატყვევებდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. რას ვიზამთ, ზოგჯერ გენი არა მხოლოდ შვილზე, შვილიშვილზეც (უფრო მეტადაც) ისვენებს...

„საბას“ ორგანიზატორები კი გვიმტკიცებდნენ, რომ ყველაფერი იყო ძლიერ კარგად, მაგრამ სრულიად აშკარად, ყველაფერი ძლიერ ცუდად იყო...

და ყოველივეს „არისტოკრატიულად“ იტანდა იქ შეკრებილი საზოგადოება, რომელსაც ალბათ, ჩვენ ვგონივართ „შიზოგადოება“, არადა, ეჭვი მაქვს, რომ პირიქით არის...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ ხაინდრავა უპასუხებს...

„გრიგოლიამ გაიხსენოს, რა შეიძლება მახსოვდეს მასთან მიმართებაში“...

„ინგა გრიგოლია გუშინწინდელი დღეა, იმედია, რომ ეს დღე ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა“, – ასე უპასუხებს, რეჟისორი გოგა ხაინდრავა გავრცელებულ ინფორმაციას, ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვა ბადრი პატარკაციშვილის მეუღლისგან მოითხოვა და ამ მიზნით ის ლონდონში იმყოფებოდაო.

რა კავშირი აქვს „იმედში“ განვითარებულ მოვლენებთან და რატომ თვლის, რომ „რეაქცია“ უნდა დახურულიყო? – ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐᲡ ესაუბრა.

– გადაცემა „არჩევანის“ წამყვანის გიორგი გაბუნიას ინფორმაციით, თქვენ ლონდონში შეხვდით ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს და მისგან მოითხოვეთ ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვა. ბატონო გოგა, რა კავშირი გაქვთ ამ გადაცემის დახურვასთან?

– ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც გაბუნია და „რუსთავი-2“ არის სიცრუე. არაფერი საერთოდ არ მქონია პატაკაციშვილის მეუღლესთან. 2 თუ 3 წელია, ინგლისში არ ვყოფილვარ. მით უფრო, ინგა გრიგოლიას გულისთვის არა თუ ლონდონში არ წავიდოდი, ზედმეტად საპირფარეშოშიც არ შევალ. აბსოლუტურად არ მაინტერესებს არც ინგა გრიგოლია და არც მისი

გადაცემა. მით უფრო გაბუნიაზე და „რუსთავი-2“-ზე ლაპარაკი ზედმეტია.

„რუსთავი-2“ წლების განმავლობაში იყო და არის საროსკიპო დაწესებულება. საროსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკმაყოფილებენ და დიახ, „რუსთავი-2“-ში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ხდება სააკაშვილის ვნებების დაკმაყოფილება. ამ საროსკიპოს მთავარი ხელმძღვანელი არის ნიკა გვარამია, რაც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

> ● ინგა გრიგოლიას გულისთვის არა თუ ლონდონში არ წავიდოდი, ზედმეტად საპირფარეშოშიც არ შევალ...
>
> ● „რუსთავი-2“ წლების განმავლოვაში იყო და არის საროსკიპო დაწესებულება. საროსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკმაყოფილებენ...

ყველა ის ადამიანი, ვინც ამ საროსკიპოს იცავს, იცავს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მეძავებს. იმას, რასაც ეს დაწესებულება აკეთებს, ჟურნალისტიკა არ ჰქვია, ეს ადამიანები გარკვეული საფასურის სანაცვლოდ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის ვნებებს აკმაყოფილებენ. ეს ტელევიზია ეკუთვნის სააკაშვილს და ისე მოიხმარს, როგორც უნდა. სააკაშვილის მოხმარებული დაწესებულება წამლავს მთელს ქართველ საზოგადოებას.

– თქვენ ამბობთ, რომ არ ყოფილხართ ლონდონში, თუმცა, ინგა გრიგოლიას განცხადებით, მისი გადაცემის დახურვის გადაწყვეტილება ზღვისპირა ქალაქში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა. ის ასახელებს ივანიშვილს, თუმცა, გაჟღერდა თქვენი გვარიც. იყავით ივანიშვილთან გამართულ მოლაპარაკებაში ჩართული?

– ძალიან სასაცილოა, რომ გრიგოლიას გადაცემის დახურვაზე გადაწყვეტილება თურმე ივანიშვილმა მიიღო. როდესაც მიხვდნენ, რა სასაცილო განცხადებებიც გააკეთეს, იპოვეს ხაინდრავა, ვისაც უნდათ მიაბან თავისი უმსგავსობა, მაგრამ ეს არანაირად არ გამოვა. იმიტომ, რომ არანაირი კავშირი ამასთან არ მაქვს, რაც მთავარია, ეს თვითონაც მშვენივრად იციან.

– როგორ ფიქრობთ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო „იმედმა“, როდესაც არხზე დახურა ორი პოლიტიკური თოქ-შოუ?

– ჩემი აზრით გრიგოლიას გადაცემა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ეთერში. არ ვფიქრობ, რომ სტუდიიდან საზოგადოების წყევლა საუკეთესო ფორმა იყოს. ინგა გრიგოლია გუშინწინდელი დღეა, იმედია, რომ ეს დღე ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა.

– ამბობენ, რომ გრიგოლიას „რეაქცია“ „რუსთავი-2“-ზე გავა. თავად გრიგოლია კი ამბობს, რომ ხაინდრავასთვის საწყენი იქნება, მაგრამ 2 თვეში ისევ დავბრუნდები ეთერშიო...

– აქამდე ხომ ისეთი დარდიანი ვიყავი, ღიმილი არ მეკარებოდა, ახლა, მით უმეტეს, როგორი განცდები დამეუფლება! ერთი მსოფლმხედველობის ხალხია, ყოველთვის ერთი ბატონის მსახურები იყვნენ და ახლაც ასე რჩებიან. რაც უფრო სწრაფად მოიყრიან ერთად თავს და ჩასხდებიან იმ ერთ ნავში, რომელშიც ყოველთვის იყვნენ, მით უკეთესი.

ესენი ყოველთვის ერთი გუნდი იყვნენ. ძალიან მაგარი მახსოვრობა მაქვს, ისეთი მაგარი მახსოვრობა მაქვს, რომ მაგათ ვერც კი წარმოუდგენიათ, ყველაფერი მახსოვს, ჩემიც და მაგათიც. ასე რომ, გრიგოლიამ იქნებ, თვითონ გაიხსენოს, რა შეიძლება მახსოვდეს მასთან მიმართებაში.

თამთა ძარჩავა

◎ რეგიონი

ბოლნისში საშვილიშვილო პრობლემები გვარდება

ასეთ ერთ-ერთ პრობლემად ბოლნისში სასმელი წყლით ქალაქის მომარაგებაა. მრავალი წელია ბოლნისს მეტად შეზღუდული გრაფიკით მოეწოდება წყალი, რაც საკმარისი არ არის და ბოლნისელების უკმაყოფილებას და გაღიზიანებას იწვევს. და აი, 2015 წლის გაზაფხულიდან დაიწყო სრულიად ახალი სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა. დიახ, ახალი წყალსადენი ქსელის მშენებლობა და არა ძველი, ამორტიზებული ქსელის რესტავრაცია-აღდგენა. გადაითხარა ცენტრალური და სხვა ქუჩები (ვინ იტყვის საყვედურს?) თხრილებში აწყობენ ახალ „რეზინის“ წყალსადენის მილებს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სუფთა წყლის მოწოდება ყოველგვარი ნატანებისა და მინარევების გარეშე.

ასეთ მასშტაბურ მშენებლობას წინ უძღოდა ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ბოლნისის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამუშაოები გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის, ბოლნისის სასმელი წყლის ქსელის მოწყობის და სხვა საკითხების შესახებ. მათ მიერ შემუშავებული გეგმები დაამტკიცა ბოლნისის საკრებულომ. რჩებოდა დაფინანსების საკითხი.

ძველად ბოლნისს ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი ოდენობის საკუთარი შემოსავლები, რათა დაეფინანსებინა საკუთარი ობიექტები, მაგრამ ნაციონალების ბატონობის პერიოდში ბოლნისის შემოსავლები მთლიანად მიჰქონდა ცენტრს და სამხარეო ადმინისტრაციას, ხოლო ბოლნისს ურიცხავდნენ მხოლოდ გამგეობის თანამშრომელთა ხელფასებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლნისის ფეხბურთელთა გუნდ „სიონს“ აიძულებდნენ მეტოქეთა გუნდისათვის მასპინძლობა გაეწია თბილისის და სხვა ქალაქების სტადიონებზე და სტადიონის მომსახურების ფული „სიონს“ სხვა ქალაქებისთვის გადაეხადა.

როცა ბოლნისის წყალსადენის ქსელის დაფინანსებით დავინტერესდი, ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ასეთი ძვირადღირებული ობიექტი ფინანსდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლნისს აღუდგინეს ის, რაც მას ეკუთვნის. ჩვენი აზრით დაფინანსების ასეთი ფორმა მისაბაძი უნდა იყოს სხვა მუნიციპალიტეტების გამგეობებისთვის. მათ მხოლოდ საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა დააფინანსონ მათთან მშენებარე ყველა ობიექტი და არ აიღონ სესხი მსოფლიო და აზიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკებიდან, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყანას და იწვევს ლარის კატასტროფულ გაუფასურებას.

გარდა წყალსადენის ქსელისა, კაპიტალურ შეკეთებას გადის ბოლნისიდან სიონის ტაძრამდე მიმავალი გზა (დაიგო ახალი ასფალტის საფარი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მკითხველი ადვილად მიხვდება თუ ვის მისცემს ხმას ბოლნისელი ამომრჩეველი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. გრძნობენ რა შექმნილ მდგომარეობას, ნაციონალები და სხვა ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, რაც ამომრჩეველთა უფლებების შელახვას, მათი კანონიერი ინტერესების იგნორირებას გამოიწვევს.

მაჟორიტარული სისტემის გაუქმების საკითხი, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

ნუგზარ კოპაძიძე,
ბოლნისი

◎ სამადლობელი

დაუვიწყარი დღეები წმიდა მიწაზე

ადვილი არ არის ქართველ და ებრაელ ხალხთა ოცდაექვსსაუკუნოვანი სიყვარულის კედელთან თუნდაც ერთი, რაგინდ მორიდებული ბარათის მიტანა, მაგრამ ჩემი თაყვანისცემისა და პატივისცემის წერილი გულით მინდა ადრესატამდე მივიდეს.



ამა წლის 6 აგვისტოს, ისრაელის ქალაქ ჰაიფაში ბატონი პაატა იოსებაშვილის დიდი ძალისხმევით და სპონსორობით, მქონდა პატივი, დავსწრებოდი რეჟისორ ნინო ყოლანდარიას სატელევიზიო ფილმის „ორი სამშობლოს“ პრეზენტაციას, რომელიც ორი ძირძველი ერის ურთიერთობის ლამაზი მატიანეა. ფილმში წარმოდგენილია ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ყველა თავის საინტერესო ჭრილში. ჩემთვის დაუვიწყარია დარბაზში მყოფი ადამიანების რეაქცია და ემოცია, სიხარულის ცრემლები და საოცარი ნოსტალგია.

იმ დღიდან მოყოლებული, საქართველოდან წმინდა მიწაზე ჩასულ მცირე ჯგუფს — კინორეჟისორ ნინო ყოლანდარიას, არასამთავრობო ორანიზაცია „სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტს ნინო ანდრონიკაშვილს და ოპერატორ მიშა მანდარიას ორი კვირის მანძილზე უდიდესი პატივისცემით გვიმასპინძლა საქართველოზე ასევე უსაზღვროდ შეყვარებულმა, ცნობილმა არქიტექტორმა, ღირსეულმა პიროვნებამ პაატა იოსებაშვილმა, ტელეფილმის „ორი სამშობლოსა“ და ისრაელში მისი პრეზენტაციის სპონსორმა, მისი ოჯახის წევრებმა ქალბატონ მარინას თაოსნობით.

ჭეშმარიტი დღესასწაული იყო ჩვენთვის ეს დაუვიწყარი დღეები აღთქმულ მიწაზე, რისთვისაც, ჩემი მეგობრების სახელით, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ებრაელ მასპინძლებს.

სიყვარულითა და პატივისცემით,
ნინო გულუა,

მედიცინის დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაციის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ აღმასრულებელი დირექტორი.

◎ კაკალ გულში

წრფელოვანი თქვენები

● ვიქტორ დოლიძემ, ლარის კურსზე საუბრის ნაცვლად, ახალი „ქეთო და კოტე“ რომ დაწეროს, ხომ უკეთესი იქნება, მისთვისაც და ქვეყნისთვისაც?

● ძალიან მაინტერესებს, რა მიზეზით და მოტივით არიან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პარლამენტარები, პატრულის მიერ, ქუჩაში, „უპრაგონოდ“, „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, ხალხის გაჩერებისა და მოსაშარდად (მე, მაპატიეთ!), ნარკოლოგიურში გადაყვანის წინააღმდეგნი?

დავიჯერო, ისეთი მნიშვნელოვანია, „დამნაშავე ნარკომომხმარებლის“ ქუჩაში სეირნობის (და არა, „დანაშაულის“) აღკვეთა, რომ ამისთვის ღირს ადამიანის პატივის და ღირსების შეურაცხყოფა? მითუმეტეს, რომ ძალიან ხშირია შეცდომა და ფხიზელი და ჯანმრთელი პიროვნების ნარკოლოგიურში გადაყვანა. ვინ უნდა აუნაზღაუროს ასეთ „გონივრულად ეჭვმიტანილებს“ მორალური და გნებავთ, მატერიალური ზიანი? დრო ხომ ფულია? „გონივრულად დაეჭვებულ“ პატრულს კი, სულ არ აინტერესებს რა საქმეზე მიდიოდა პიროვნება და ეჩქარებოდა, თუ არა!?

ხალხო, დამიჯერეთ, ნამდვილად არაა ნარკოტიკის მოხმარება, მითუმეტეს, მარტო და მითუმეტეს, ერთი კვირის წინათ, იმ დონის დანაშაული (მე, თუ მკითხავთ, საერთოდ არაა დანაშაული!), რომლისთვისაც ღირდეს თუნდაც ერთი ადამიანის, თუნდაც ერთი საათით დაპატიმრება! გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მხოლოდ მოხმარებას“ ვგულისხმობ!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ „რთველი — 2015“

კრეფა დაიწყო

ღვინის ეროვნული სააგენტო „რთველი 2015“-ის სტატისტიკას აქვეყნებს. კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 4,4 ათას ტონამდე ყურძენი, მათ შორის, 931 ტონამდე რქაწითელი, 1100 ტონამდე საფერავი, 260 ტონამდე კახური მწვანე და 2071 ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

სააგენტოს ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, კახეთში ყურძენს გადამუშავების პროცესში ჩართულია 17 ღვინის მწარმოებელი კომპანია. მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული 4 ღვინის საწარმო.

ეტაპობრივად რთველში კახეთის რეგიონის სხვა რაიონებიც ჩაერთვება და პარალელურ რეჟიმში ყურძნის მიღებას ღვინის მწარმოებელი სხვა საწარმოებიც დაიწყებენ. ამ დროისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დერეგისტრირებულია 70-მდე ღვინის კომპანია.

სად შეიძლება ყურძნის რეალიზაცია

მურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში ყურძნის სარეალიზაციოდ სპეციალური ადგილები მოეწყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. უწყების განმარტებით, ყურძნის სარეალიზაციო ადგილებია მოწყობილი: ქუთაისში (ბალახვანის ასსაფეხურიან კიბესთან და „ტორპედოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია); რუსთავში (მე-12 მ/რ, სტამბოლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია); ზუგდიდში (კედიას ქუჩა, ბაზრის უკანა მხარე); ამბროლაურში (გამსახურდიას 2, ბაზრის ტერიტორია); ოზურგეთში (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია, საბთუმო ბაზრობა); გორსა (მოსკოვის ქ. №1) და ბათუმში (მაიაკოვსკის ქ34, აღმაშენებლის ქ. „ხოფას ბაზარი“, გმირთა ხეივანი აბუსერიძის ქუჩის კვეთაზე);

„თვითმმართველ ქალაქებში არსებულ აგრარულ ბაზრებში რქაწითელის ჯიშის ყურძნის სარეალიზაციო ფასი 1.00 ლარიდან — 2.50 ლარამდე მერყეობს“, — აცხადებენ სამინისტროში.

მევენახეები ისევ უკმაყოფილონი არიან

გუშინ თელავი-გურჯაანის მთავარი მაგისტრალი მევენახეებმა გადაკეტეს, რომლებიც საპროტესტო აქციას მართავდნენ. აქციის მონაწილეები სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, ყურძნის არსებული ფასით გლეხი 100-პროცენტიან მოგებას იღებს.

ამ დროისთვის თეთრი ყურძნის ფასი 60, ხოლო საფერავისა 85 თეთრია. აქციის მონაწილეები კახეთში ოთარ დანელიას ჩასვლას ითხოვენ.

ნაციონალთა პროვოკაციაზე წამოეგნენ

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გელა სამხარაულის შეფასებით, მევენახეთა პრობლემის გამოყენებით ნაციონალურმა მოძრაობამ პროვოკაციის მოწყობა სცადა.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, თუკი ოპოზიციონერ დეპუტატებს მევენახეთა საკითხის გადაჭრა მართლაც აინტერესებდათ, შეეძლოთ, საკითხის დღის წესრიგში ჩასმა წინასწარ მოეთხოვათ და კომიტეტი განხილვისათვის მოემზადებოდა. გელა სამხარაული ამბობს, რომ მევენახეებს დღესვე შეხვდებიან და მოუსმენენ.

„ვენახი, ღვინო, საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობები არ არის. ძალიან ძნელია, როცა ქართველი კაცი ამ ყველაფერს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებს. ჩვენ კომიტეტის სხდომაზე გლეხების მოსვლის თაობაზე ინფორმირებული არ ვიყავით. დღის წესრიგით სულ სხვა საკითხის განხილვა იყო გაწერილი. ნაციონალურმა მოძრაობამ ფაქტის წინაშე დაგვაყენა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურძნის ჩაბარების საკითხის განხილვაზე უარს არ ვამბობთ და მზად ვართ, მევენახეებს მოვუსმინოთ. აღნიშნულ საკითხზე არც ერთი ჩემი ოპონენტი იმაზე მეტად არ წუხს, ვიდრე პირადად მე. ბავშვობიდან ამ საქმით ვარ დაკავებული და თითოეული ნიუანსის დეტალი საკუთარი ოჯახის მხრებზე მაქვს გადატანილი. ნებისმიერი ასეთი პროვოკაციული მიდგომა ძალიან მტკივნეულია“, — ამბობს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გაერთიანებული სხდომა გუშინ ხმაურით დაიწყო. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა დღის წესრიგში ყურძნის სუბსიდირების საკითხის შეტანა და მისი განხილვა მოითხოვეს. სხდომაზე მივიდნენ კახეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მევენახეები, რომლებიც ყურძნის ჩაბარების ფასს აპროტესტებენ.

ინტერპრესი

საკუთარი ინტერესების დაცვა თუ მაამებლური პოლიტიკა?

ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის საქართველოში ვიზიტმა და ამ ორგანიზაციის საწვრთნელი ბაზის გახსნამ, ისე, როგორც არასდროს, წინწამოწია საკითხები, რომლებიც რეაგირებას მოითხოვს, წინაალმდეგ შემთხვევაში ისინი პრობლემებად იქცევა, რომელთა გამოსწორება შეუძლებელი გახდება.

ვეჭვობ, რომ ხელისუფლებამ სიღრმისეულად გააანალიზა ბაზის გახსნის ნეგატიური თუ პოზიტიური მხარეები და აქედან გამომდინარე, გადადგა ის ნაბიჯი, რამაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი სერიოზულად დააფიქრა, უფრო სწორად შეაშინა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელისუფლებაზე მეტად მოაზროვნე საზოგადოებასთან — საკუთარი თავისა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზედმიწევნით მაფიქრალსა და მადარდებელზე. მას არ მოსწონს ხელისუფალთა ზედაპირული დამოკიდებულება ბაზის გახსნით გამოწვეულ საკითხებთან დაკავშირებით და ცდილობს როგორმე მიაწვდინოს ხმა მთავრობას (სამომავლოდ მაინც) საღი გადაწყვეტილების მისაღებად.

თავის დროზე კონფლიქტოლოგი ზაქარეიშვილი, ამჟამად მინისტრი; აცხადებდა: „თუ ნატო დაიახლოვებს საქართველოს, მაშინ რუსულ-ქართული პრობლემატიკა ნატოს პრობლემად იქცევა“.

იგივე სტერეოტიპებით აზროვნებს დღევანდელი ხელისუფლება, რომლის მთავარი მიზანი არის ერთი — ნატოში გაწევრება, ანუ ნატოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ თავის შეყოფა და ამით საკუთარი პრობლემის ნატოსთვის აკიდება. მაგრამ თბილისელ პოლიტიკოსთა გულისნადები რომ კარგად იცის ნატომ? არის ნატო მზად იმისთვის, რომ პრობლემებიანი საქართველო მიიღოს თავის რიგებში და საქართველოს გასაკეთებელი საქმე იტვირთოს?

ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, ვინაიდან ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე, ნატო არ არის ის, ვინც საკუთარ წევრებს ტერიტორიულ საკითხებს უგვარებს. ნატოს სჭირდება ისეთი წევრი, რომელიც ტერიტორიული თვალსაზრისით მას თავსატკივარს არ გაუჩენს. ობიექტური მსჯელობით ნატომ არ უნდა მიიღოს თავის რიგებში ქვეყანა, რომელიც საკუთარი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად იყენებს დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირებას.

ნატომ შეიძლება გადადგას რუსეთის გამაღიზიანებელი ნაბიჯი, რაც არის ბალტიისპირა ქვეყნებსა და საქართველოში, მაგრამ საბოლოო ჯამში ის იძულებული იქნება, თავი შეიკავოს — სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ვთქვათ პირდაპირ — არის თუ არა ნატო მზად რუსეთთან სამხედრო კონფლიქტისთვის? ჩემი აზრით, მთლად გონგამოცლილი უნდა იყოს ორგანიზაცია, რომ ამაზე იყოს მზად. მე, უფრო დიდი წარმოდგენა მაქვს ნატოზე, ვიდრე ზოგიერთ პოლიტიკოსს, გულში რომ ოცნებობს ნატო-რუსეთის დაჭიდებაზე.

თუ ნატო არ გარისკავს ომს რუსეთთან, რა დროს მოხდება რუსეთის გამაღიზიანებელი ფაქტორის დამუხრუჭება? დაამუხრუჭებს კი რუსეთი — ნატოს გაღიზიანებით მოთმინებიდან გამოსული? იმ მწვავე მომენტში იფიქრებს ვინმე საქართველოს დასაცავად ანუ იმ ქვეყნის, რომლის ტერიტორიაზე არსებულმა სამხედრო-საწვრთნელმა ბაზამ გამოიწვია ეს?

ეროვნული უსაფრთხოების ნატო-რუსეთის კონფრონტაციაზე აგება სახიფათო რამაა, რასაც გაცილებით მეტი ნეგატივის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, ვიდრე პოზიტივის.

ავიღოთ მეორე თემა — ნატოსთან კავშირი გადაარჩენს საქართველოს ისეთი მზარდი საფრთხისგან, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ პოლიტიკიდან მომდინარეობს. პოლიტოლოგი საყვარელიძე აცხადებს: **„ნატოში ინტეგრაცია ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ პერსპექტივაში, გლობალური უსაფრთხოების წამოჭრის შემთხვევაში, საქართველო არ დარჩეს მარტო ამ გამოწვევებთან... აქტიურად იკრებს ძალას აგრესიული პოლიტიზებული ისლამი, რომლის მზერა მიპყრობილია მოსაზღვრე ქრისტიანული სამყაროსკენ. საქართველო, სწორედაც საზღვარზეა და თუ ის არ შეეცდება პარტნიორების ძებნას, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ამ სივრცის დაცვაში, თვით მას გაუჭირდება ამ ძალასთან ბრძოლა. ასე, რომ, ნატოსთან ინტეგრაცია ემსახურება თავდაცვას“.**

თეორიულად კარგად ჟღერს, თუმცა მას არავითარი კავშირი არა აქვს პრაქტიკასთან. დღეს, პირდაპირი საფრთხე „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან არ შეინიშნება, მაგრამ რა იქნება ხვალ, დანამდვილებით ვერავინ იტყვის. გარდა ამისა, საქართველომ უნდა გამონახოს პარტნიორი, რომელიც მას „ისლამური სახელმწიფოს“ შემოტევისგან დაიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში საყვარელიძისეული „საგზაო რუკა“ — ნატო, არ გამოდგება.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტაქტიკაში ნაკლებადაა (გარდა სირია-ერაყისა) სხვა ქვეყნებში ტანკებით შეჭრა. ამ „სახელმწიფოს“ ემისრები მიზანში ამოღებული ქვეყნების ტერიტორიებზე ახდენენ მოსახლეობის გადაბირებას, მცირე თუ დიდი ჯგუფების შექმნას, რომლებიც შესაბამისი ნიშნის მიცემისთანავე ისე ამოქმედდებიან, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.

ისლამური საფრთხის იმპორტირება შეიძლება მოხდეს თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სადაც, დასავლელ ექსპერტთა მონაცემებით, არსებობს ვაჰაბიტური, სალაფიტური იატაკქვეშა ჯგუფები. თუ დასავლეთი იმ სცენარით იმოქმედებს საქართველოში, როგორითაც ის მოქმედებს სირია-ერაყში (მთლიანობაში ახლო აღმოსავლეთში), მაშინ საქართველოს თავს დაატყდება იმაზე მეტი უბედურება, რაც 2008 წელს. და თუ ეს მოხდა, ვეჭვობ, ნატო მხარში დაუდგეს საქართველოს. ნატოს საწვრთნელი ბაზა სწორედ ის თაფლი გახდება, ბუზებივით რომ მიიზიდავს ექსტრემისტულ ისლამს.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები ნათლად ასახავს იმ პოლიტიკას, რომელსაც ხშირად მიმართავენ დიდი ქვეყნები - დაჰყავი და იბატონე. ეს პოლიტიკა — უდავოდ წახალისებული აშშ-სა და მისი ნატოელი მოკავშირეების მიერ, ისეთ ფაზაშია შესული, თვით მათაც რომ არასასიამოვნო განწყობას უქმნის, მაგრამ რომ იტყვიან — „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“-სთან გვაქვს საქმე.

უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ შემქმნელია აშშ, რომ მან და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის დასამხობად „ალ-ქაიდას“ ფილიალებთან დაამყარეს კავშირი და მათ ბაზაზე შექმნეს „ისლამური სახელმწიფო“. ამერიკელ ექსპერტთა მტკიცებით, ამერიკა-ნატოს დღესაც მჭიდრო, ფარული ურთიერთობები აქვთ „ისლამურ სახელმწიფოსთან“, რის შესახებაც წერს ესპანური და გერმანული პრესა.

იმავდროულად, მსოფლიო საზოგადოების თვალის ასახვევად, აშშ-ის მიერ შექმნილი „კოალიცია“ ბომბავს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიებს სირია-ერაყში, თუმცა დიდ ზარალს ვერაფრით აგემებს ამ „სახელმწიფოს“. საჰაერო თავდასხმებს მაშინ აქვს ეფექტი, თუ მას სახმელეთო შეტევა მოჰყვება, რაც იქ არ ხდება. „ისლამურმა სახელმწიფომ“ ალღო აუღო აშშ-სა და „კოალიციაში“ შემავალი ქვეყნების საჰაერო შეტევებს და თავდასხმამდე მოჯახედები უსაფრთხო ადგილებში გადაადგილდებიან.

ამერიკელთა „წარმატებაზე“ შეიძლება მოკლედ ითქვას: საჰაერო თავდასხმების დაწყებიდან დღემდე „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები არათუ შემცირდა, არამედ ერთი-ორად გაიზარდა. „ისლამური სახელმწიფო“ შიშის ზარს სცემს დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებს, ანადგურებს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლებს, სიკვდილით სჯის ტყვედ აყვანილებს და ა.შ.

„ისლამური სახელმწიფოს“ დაუსჯელმა პარპაშმა ათეულ-ათასობით ლტოლვილი გააჩინა, რომელიც უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველსაყოფად ევროპას მიაწყდა. მაგრამ მარტო „ისლამური სახელმწიფოა“ ყოველივე ამის თავიდათავი?

ნამდვილად არა! თავიდათავი ის პოლიტიკაა, რასაც აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები აწარმოებენ მრავალი ათეული წლის განმავლობაში აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ლტოლვილების თავდასხმა ევროპაზე — სწორედ ამ ქვეყნებიდან ხორციელდება.

შექმნილ ვითარებაში აქტიურადაა ჩართული მეზობელი თურქეთი. ისიც ბომბავს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიებს — შესაბამისი „წარმატებებით“. აქ მას სხვა მიზნები ამოძრავებს - ქურთული ფაქტორი. თურქეთი დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის კატეგორიული წინააღმდეგია. ასე რომ... ის ორ ფრონტზე იბრძვის — „ისლამური სახელმწიფოსა“ და ქურთების წინააღმდეგ. პირველთან ცალყბად, მეორესთან —სერიოზულად. პირველთან მას სხვა კავშირებიც აქვს — სავაჭრო. თურქეთი სწორედ ისაა, ვინც 20 დოლარად (ბარელზე) იღებს ნავთობს „ისლამური სახელმწიფოსგან“. როგორც დასავლელი სპეციალისტები აცხადებენ, „ისლამური სახელმწიფოდან“ ნავთობის მიღებაში ნატოც არის შემჩნეული.

რაც შეეხება ქურთებს, „ისლამური სახელმწიფოს“ დაუძინებელ მტრებს, ერთობ დაძაბული ურთიერთობა აქვთ თურქეთის ხელისუფლებასთან. თურქულმა დაბომბვებმა ფაქტობრივად მოშალეს ქურთულ-თურქული სამშვიდობო პროცესი და გზა გაუხსნეს ტერორისტულ აქტებს თურქეთში. თურქეთში ვხედავთ სერიოზულ გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციას — ქურთული ფაქტორიდან გამომდინარე. ქურთები „მესამე ძალად“ ჩამოყალიბდნენ, რომელსაც შეუძლია სერიოზული გავლენა იქონიოს სირიაზე, ერაყზე, თურქეთზე, ირანსა და ამიერკავკასიაზე.

ქურთებმა დაიწყეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აფეთქება თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ისინი მიიჩნევენ, რომ თურქებმა დაარღვიეს ქურთებთან დადებული ზავის პირობები და ამდენად მათი მხრიდან ტერორისტული აქტები გახშირდება, რაც თავისთავად შეუქმნის პრობლემებს მილსადენს.

რაც შეეხება აშშ-ის დამოკიდებულებას ქურთების მიმართ, ის ყოველთვის ლოიალური იყო. აშშ მხარს უჭერს ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. როდის განხორციელდება ეს — დროსა და შესაბამის ვითარებაზეა დამოკიდებული.

აშშ, ახლო აღმოსავლეთში წყლის მთავარი ამღვრევი, მხარს უჭერს ქურთების მოქმედებას მოკავშირე თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, ეს მხარდაჭერა ფარულია და ძნელად ამოსაცნობი, მაგრამ ფაქტების ანალიზი და შექმნილი ვითარება გვიკარნახებს ამას. ერთის შეხედვით, მსგავსი იატაკქვეშა თამაში არ უნდა ხდებოდეს — აშშ-თურქეთს მჭიდრო თანამშრომლობიდან გამომდინარე, მაგრამ უფრო მეტი თანამშრომლობა იყო ხოსნი მუბარაქის ეგვიპტესთან, ბენ ალის ტუნისთან, კადაფის ლიბიასთან, სადამ ჰუსეინის ერაყთან და თქვენ წარმოიდგინეთ ბაშარ ასადის სირიასთან.

თუ რით დასრულდა მათთან „თანამშრომლობა“, ანუ „სტრატეგიული პარტნიორობა“ ყველასთვის ცნობილია. როგორც ჩანს, ნელ-ნელა დღის წესრიგში დგება თურქეთი, სადაც ქურთული კარტი თამაშდება, რასაც უდავოდ მოჰყვება დიდი სახელმწიფოს მთლიანობის რყევა, ისე, როგორც ეს არის ერაყში. შეიქმნება ახალი პრობლემა ახლო აღმოსავლეთისთვის, რომელსაც სისტემატურად დაასხამს ნავთს „ისლამური სახელმწიფო“. იქნებ სწორედ ამისთვისაა ის შექმნილი?

შორს მდებარე ამერიკა, ისე, როგორც ყოველთვის ბოლო 70 წლის განმავლობაში, თავის „ავტორიტეტულ“ სიტყვას იტყვის, როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში — ერთპიროვნულად, ჰეგემონისტურად, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან მსოფლიო პირველობა მოითხოვს მისგან ამას.

ასეთ დროს, როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა, ამ შემთხვევაში საქართველო, რომლის მთავარი ფუნქცია „სტრატეგიული პარტნიორის“ მიერ მინიჭებული მეზობლების გამღიზიანებლის როლის შესრულებაა? უპირველესად, მან ამ როლზე უნდა თქვას უარი და გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას წაადგება და არა მთავრობის კეთილდღეობას.

საქართველოს პოლიტიკამ ის ანბანური ჭეშმარიტება უნდა გაითვალისწინოს, სხვისი გაღიზიანება ბუმერანგივით რომ ბრუნდება. როგორც ჩანს, 2008 წლის მწარე გაკვეთილებმა ბევრი ვერაფერი გვასწავლა. ჩვენ არათუ სხვის შეცდომებზე არ ვსწავლობთ, არამედ საკუთარზეც.

მეზობელ თურქეთში შექმნილი ვითარება უდავოდ იმოქმედებს საქართველოზე და მაშინ ფიქრი იმაზე, რომ დასავლეთი მხარში დაგვიდგება, ფუჭი იქნება. იმ ქვეყნებთან, საიდანაც ლტოლვილები გამორბიან, აშშ-სა და ნატოს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდათ, მაგრამ როცა დასჭირდათ, სახელმწიფო ინტერესებმა წამოიწიეს წინ და არა ე.წ. სტრატეგიულმა პარტნიორობამ.

რით არის საქართველო გამორჩეული იმათგან, რომ მსგავსი არ იგემოს? არც არაფრით.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„მერსი ქორფსი“ ბორჯომში

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში „მერსი ქორფსი“ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 1 000 000 დოლარიანი ბიუჯეტის მქონე პროექტის განხორციელებას იწყებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ჩაჩანიძემ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრა გამართეს.

როგორც „მერსი ქორფსის“ მრჩეველმა რიჩარდ მაქსფილდმა განაცხადა, მოცემული თანხით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროსა და სექტორის განვითარებას. შეხვედრაზე მხარეებმა პირველი რვა თვის სამოქმედო გეგმა განიხილეს და დასახულ პრიორიტეტებზეც შეთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ პროექტის წარდგენის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ავსტრიელმა და შოტლანდიელმა ექსპერტებმა, მათ საკუთარი ქვეყნების გამოცდილება დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს.

პროექტს თავდაპირველად საპილოტე ხასიათი ექნება და ბორჯომში ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ეფემერ წერილ

„კვერცხთავიანების საიდუმლო“

ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა თითქმის საუკუნის წინათ პერუში, ქალაქ პარაკასას მახლობლად ნაპოვნი ადამიანის მოგრძო თავის ქალების ანალიზი ჩაატარეს. პარაკასსას ისტორიის მუზეუმის დირექციის განცხადებით, ამ ნაშთების დნკ ადამიანისა და ნებისმიერი სხვა ცხოველის დნკ-სგან განსხვავდება. აღნიშნული თავის ქალების ასაკი 3 ათასი წელია და, მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ოდესღაც დედამიწაზე უცხოპლანეტელები ჩამოვიდნენ, რომლებმაც აქ უკანასკნელი სასუფევლი ჰპოვეს.

თავდაპირველად მე-20 საუკუნეში პერუში ნაპოვნი თავის ქალები ამერიკის კონტინენტის მორიგ საოცრებად მიიჩნიეს, მაგრამ შემდეგ მსგავსი თავის ქალა ავსტრიაში ავარების ყოფილ დასახლებასთან აღმოაჩინეს. მეცნიერებს ბევრი არ უყოყმანიათ და „ავარულ“ თავის ქალას „პერუანული“ უწოდეს, რომელიც ევროპაში რაღაც უცნაური გზით მოხვდა. მაგრამ, მერე „ავარულის“ მსგავსი მეორე, მესამე და ასე შემდეგ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში — ჩეხეთში, სლოვაკეთში, მოლდავეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ინგლისში ნახეს.

დღესდღეობით ასეულობით ასეთი თავის ქალაა ნაპოვნი. მაშინ იყო, რომ მათი „პურუანული“ წარმოშობის სანაცვლოდ ახალი თეორიის წამოყენება გახდა საჭირო: სარკინოზები,, გუნები, თათრები, ფრანკები, კელტები — ვის აღარ მიაწერდნენ კვერცხისებრი ფორმის თავის ქალებს. გეოგრაფია მარტო ევროპითა და პერუთი არ შემოისაზღვრება — არაერთი მოგრძო თავის ქალა ნახეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა — ზღვისპირეთში, შუა აზიაში, ვოლგისპირეთში, ციმბირში, ყირიმში, კავკასიაში, ამერიკის კონტინენტზე ჩილეში, მექსიკაში, ეკვადორში, კუბაში, ანტილის კუნძულებზე. მეტიც: **არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დამიან უოთერსის არქეოლოგიურმა ჯგუფმა სამი კვერცხის ფორმის თავის ქალას... ანტარქტიდაში მიაგნო!**

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ქალები ერთმანეთისგან ასაკითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან: **ყველაზე ძველი მათ შორისაა ავსტრალიის ახალი უელსის შტატში ნაპოვნი — იგი 13 ათასი წლისაა, ყველაზე ახალგაზრდები კი, რომლებსაც მე-11-მე-13 საუკუნეებით ათარიღებენ, საფრანგეთსა და პოლონეთშია ნაპოვნი.**

— თავიდანვე შე:იძლება ითქვას, რომ უცხოპლანეტელები აქ არაფერ შუაში არ არიან, წაგრძელებული თავის ქალები — ესაა ხელოვნური დეფორმაციის შედეგი, — აცხადებს ი.სკნოროზოვის სახელობის მეზოამერიკული ცენტრის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გალინა ერშოვა.** — ბავშვებისთვის თავის ქალის შეცვლის პრაქტიკა მრავალ ხალხს ჰქონდა. **დაბადებისთანავე ბავშვს თავზე ფიცარს უმაგრებდნენ საიმისოდ, რომ თავის ქალა წაეგრძელებინათ, ანდა შუბლი უფრო დაქანებული გაეხადათ. თუ რა იყო ამის მიზეზი, ჩვენთვის უცნობია, იქნებ სილამაზეზე ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ. იქნებ კი, სულაც, თავის ქალაში ტვინისთვის უფრო მეტი ადგილის შექმნა სურდათ. ვინ იცის...**

მადრიდის არქივში ნაპოვნია ეპისკოპოს დიეგო დე ლანდას ჩანაწერებში, რომელიც სამხრეთამერიკელ ინდიელთა უცნაურ წესს აღწერს, აღნიშნულია, რომ ბავშვებს თავზე ხის ფიცრებს უჭერდნენ. **ეს იყო თავის ტვინზე ზემოქმედების ცდები. ჯერ კიდევ ინკებამდე ამ მიწაზე მცხოვრებ ტომებს ესმოდათ, რომ ნებისმიერი უჩვეულო სულიერი მდგომარეობა, სულიერი პრაქტიკები — ყველაფერი თავის ტვინიდან მომდინარეობს. ამიტომაც ისინი ექსპერიმენტებს ატარებდნენ და ქალა ტვინის ამა თუ იმ უბანზე ზემოქმედებას ცდილობდნენ.** ისინი ტრანსპლანტაციებს აკეთებდნენ, თავის ქალებს ხვრეტდნენ, ბრმად ეძებდნენ, თუ თავის ტვინის რომელ უბანზეა საჭირო ზემოქმედება გარკვეულად შეცვლილი გონებრივი მდგომარეობის მისაღწევად. თანაც ცდებს ტყვეებზე კი არა, თანამემამულეებზე ატარებდნენ. **ქურუმები ბავშვებს დაბადებიდანვე აკვირდებოდნენ, მათ შორის მომავალ ქურუმებსაც არჩევდნენ და ტრეპანაციებსაც სწორედ მათ უკეთებდნენ.**

სხვათა შორის, თანამედროვე მედიკოსებმა ერთობ საგულისხმო რამ დაადგინეს: **თუკი ადამიანის თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს საფეთქლის ნაწილს დავბლოკავთ (ან გავააქტიურებთ), მას ისეთი „მოგონებები“ წარმოეშვება, რომლებიც არანაირად არ შეიძლება ჰქონდეს.**

თავის ქალების დაგრძელების პრაქტიკა ესპანელებმა ბარბაროსობად მიიჩნიეს, ისინი აკრძალეს და უსასტიკესი მეთოდების გამოყენებით მათი აღმოფხვრა შეძლეს.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს წეს-ჩვეულება დიდად გავრცელებული იყო სარმატებშიც. შუა საუკუნეების სპარსეთის „ლეონარდო და ვინჩი“ — ალ-ბირუნი წერდა, რომ ეს წესი დიდად იყო გავრცელებული ფერგანისა და ხვარაზმის მოსახლეობაში ისლამამდელ ეპოქაში. ისე კი ის დღესდღეობითაც გავრცელებულია კონგოს, სუდანისა და ახალი ჰებრიდების კუნძულების მოსახლეობაში.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ამის მიზანი, შესაძლოა, სილამაზის მოთხოვნა იყო: **ტომები, რომლებიც ამას დღესდღეობითაც აკეთებენ, მიიჩნევენ, რომ ასეთი თავის ქალები ლამაზია.** მეორე სავარაუდო მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ **ასეთი თავის ქალის ფორმის ქონა დიდგვაროვანთა პრივილეგირებული კასტისადმი კუთვნილების ნიშანი იყო.** წაგრძელებული თავის ქალები ჰქონდათ, მაგალითად, ფარაონ ეჰნატონს, მის ულამაზეს თანამეცხედრეს ნეფერტიტის, მათ ქალიშვილებს. მრავალი „კვერცხისთავას“ მდიდრული საფლავი იმის ნიშანია, რომ ისინი საზოგადოების უმაღლეს ფენას მიეკუთვნებოდნენ.

მესამე ვერსია კი ის გახლავთ, რომ **ასეთი თავის ქალის პატრონები განსაკუთრებულ ექსტრასენსორულ ნიჭს იძენდნენ, წინასწარმეტყველ ქურუმთა კასტაც სწორედ ამ გზით ყალიბდებოდა.**

როგორც ჩანს, „კვერცხისთავიანების“ გასაზრდელად ყველა ხალხს თავისი საკუთარი მიზეზი და მიზანი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერსია ვერ ხსნის იმას, თუ **რატომაა, რომ ეს უცნაური „მოდა“ ბავარიიდან მოყოლებული ახალ გვინეამდე და ამერიკის კონტინენტამდე გავრცელდა? რატომაა, რომ ამ მოდას აყოლილები უზარმაზარი გეოგრაფიული მანძილებით დაშორებული ხალხები იყვნენ, რომლებიც, ამასთან, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ და ახლაც დგანან? რატომაა, რომ ყველა უპირატესობას თავის ქალის წაგრძელებულ, და არა, ვთქვათ, სამკუთხა, ოთხკუთხა, ანდა, ვთქვათ,**

ჩაჭყლეტილ ფორმას ანიჭებდნენ? ვინ იყო მათი მისაბაძი მაგალითი? პასუხები ამ კითხვებზე ჯერჯერობით არ არის.

მსოფლიოში უკლებლივ ყველა ხალხის მითებში ნახსენებია ადამიანთა მოდგმისათვის ცოდნისა და კულტურის მომტანი ღმერთები. ზოგიერთ ეპოსში ისინი წაწვეტებული თავის ფორმის მქონე არაბუნებრივი ძალის მქონე არსებებად არიან წარმოსახულნი. შვეიცარიელი უფოლოგის ერიჰ ფონ დენიკენის მიერ წამოყენებული თეორიით, ეს „ღმერთები“ უცხოპლანეტური ცივილიზაციის წარმომადგენლები იყვნენ.

თუკი მათ აქაურ ქალებთან კონტაქტები ჰქონდათ (რაც ღმერთების შესახებ ყველა ლეგენდაშია ნახსენები), სავსებით შესაძლებელია, რომ შთამომავლობას მამების კვერცხის ფორმის თავის ქალები გამოჰყოლოდათ. „ღმერთების“ შვილები თანამოძმეებზე ძალაუფლებას იღებდნენ, მეფეები ხდებოდნენ, მათი სისხლი კი სულ უფრო მეტად დედამიწის წარმომადგენელთა სისხლით იზავებოდა, ამიტომაც ჩნდებოდა თავის ქალის ხელოვნურად წაგრძელების აუცილებლობა, რათა „ღმერთის შვილებად“ თავის წოდებას საფუძველი არ შერყეოდა.

ძველი ცივილიზაციების მკვლევარმა რობერტ კონოლიმ სამხრეთ ამერიკის რამდენიმე მუზეუმში დეფორმაციის პროცესის შედეგად წაწვეტებული თავის ქალები გადაიღო და გასაოცარი რამ აღმოაჩინა: **მათი მოცულობა 2200-დან 2500 კუბურ სანტიმეტრამდე მერყეობს, ჩვეულებრივი ადამიანის თავის ქალის მოცულობა (ნებისმიერი დეფორმაციის შემთხვევაშიც კი!) 1300-1400კუბურ სანტიმეტრს არ აღემატება.**

მედიკოსები ამტკიცებენ, რომ **ასეთი თავის ტვინის მოცულობის მქონე ადამიანთა არსებობა შეუძლებელია, რადგან როცა ჩვილების თავის ტვინი განვითარებისას გარკვეულ ზომებს აჭარბებს, ისინი ადრეულ ასაკშივე იღუპებიან. არადა, კონოლის ფოტოკოლექციაში 2 600 და, წარმოიდგინეთ, 3000 კუბური სანტიმეტრის თავის ქალებია, რომლებიც ასევე ზრდასრულ ინდივიდებს ეკუთვნოდა!** მეცნიერთა აღიარების მისაღებად იმის თაობაზე, რომ მათი პატრონები უცხოპლანეტელები იყვნენ, საჭირო გახდა პარაქსიდან თავის ქალების შესწავლა.

ნახევარკუნძული პარაქსი, პერუს დედაქალაქ ლიმიდან 240 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, მისგან 150 კილომეტრში კი ცნობილი ნასკას ზეგანია. 1928 წელს პერუელმა არქეოლოგმა ნახევარკუნძულზე უზარმაზარ სასაფლაოს მიაგნო. ნეკროპოლში უამრავი დიდი სამარხი საკანი იყო, რომელთაგან თითოეულში 40 მუმია იყო. განამარხება მანამდე უცნობ კულტურას ეკუთვნოდა, რომელსაც „პარაქსის კულტურა“ უწოდეს, ხოლო მუმიების ასაკი 1000-დან 3000 წლამდე მერყეობდა. **არქეოლოგებმა სამასი მუმია ამოიღეს, რომელთა წაგრძელებული თავის ქალები ჩვეულებრივი ადამიანის თავის ქალების მოცულობასთან შედარებით 25 პროცენტით დიდი იყო, შესაბამისად, ცოცხალი პარაქსელის წონა ადამიანისას 60 პროცენტით აღემატებოდა.** ტანის წონისა და თავის ქალის მოცულობის ასეთი შეცვლა არანაირი დეფორმაციის შედეგად არ შეიძლება! გარდა ამისა, **ადამიანისგან განსხვავებით, რომელსაც კეფის ორი (შიდა და გარეთა) ზედაპირი აქვს, პარაქსელებს მხოლოდ... ერთი ჰქონდათ!**

ჩატარებული დნკ-ანალიზით, ექსპერტთა ავტორიტეტულმა ჯგუფმა დასკვნა გამოიტანა; **„...გამოსაკვლევ თავის ქალებში აღმოჩენილია მიტოქონდრიალური დნკ, რომელიც არც ადამიანს, არც პრიმატებს, არც რომელიმე სხვა ცხოველს არ ახასიათებს“.**

მაშ ვინ იყვნენ პარაქსის ნახევარკუნძულის იდუმალი წარმომადგენლები? ამ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხს, როგორც ჩანს, ვერასდროს ვერ მივიღებთ.

ამერიკის კონტინენტის კიდევ ერთი უდიდესი გამოცანაა ნასკას ზეგანის უზარმაზარი ნახატები. ი. კნოროვის ცხოველების მეზოამერიკული ინსტიტუტის დირექტორის გალინა ერშოვას აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა ტაძრები ღია ცის ქვეშ. იქ გამოსახულია კოლიბრი, მაიმუნი, ობობა. თანაც ყველანი მდედრობითი სქესისანი არიან!

მკვლევარის აზრით, ეს იმის ნიშანია, რომ **თითოეულ გვარს თავისი მოედანი ჰქონდა, რომელიც მის მშობელ წინაპარს განასახიერებდა. ინიციაციის რიტუალის გავლის შემდეგ, გვარის დედა თითოეულ წევრს თითქოს ხელახლა შობდა — იგი მის მთელ სხეულს მოივლიდა და სამყაროში თითქოს ახლიდან შემოდიოდა.** მსგავსი ტრადიციები ბევრ სხვა ხალხსაც აქვს.

ჩვენს დრომდე კი ნასკას ზეგანის ნახატებმა მხოლოდ იმის წყალობით მოაღწია, რომ იმ ადგილებში წვიმები მიწამდე ვერ აღწევენ.

უცხოური პრესის პუბლიკაციების მიხედვით მასალა მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ პრევენციის მიზნით

საფრთხის ასაცილებლად - დროული უფასო ვაქცინაცია!..

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების დირექტორებს რეკომენდაციებით მიმართავს.

ეროვნული ცენტრის დირექტორი **ამირან გამყრელიძე** ყურადღებას ამახვილებს, რომ დასავლეთ უკრაინაში პოლიომიელიტის ორი შემთხვევა გამოვლინდა, ამიტომ მისი შეფასებით, სიფრთხილე გვმართებს.

„ყველა მშობელს, სკოლის დირექტორსა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელს ვთხოვთ, კიდევ ერთხელ გადასინჯონ ბავშვების აცრის კალენდარი. ნახონ, რამდენად სრულად არიან პატარები აცრილები. თუ არ არიან აცრილები, მიიყვანონ ბავშვები პოლიკლინიკაში და აცრან. აცრები სახელმწიფო პროგრამით უფასოა. ყველა ვაქცინა, რომელიც სახელმწიფო პროგრამით საქართველოში გამოიყენება პრეკვალიფიცირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ხარისხის მაღალი გარანტია გახლავთ“.

„2015-2016 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გადამდები დაავადებების აფეთქების ან ფართოდ გავრცელების, ასევე ეპიდემიის დაწყების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა ადამიანმა უნდა ჩაიტაროს ვაქცინაცია (სამედიცინო უკუჩვენებების არარსებობის შემთხვევაში), რომელიც აუცილებელია როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წითელას და ასევე, სხვა ვაქცინაციით მართვადი დაავადებების (დიფთერია, ტეტანუსი, ყივანახველა, პოლიომიელიტი, წითურა, ყბაყურა) პრევენციის მიზნით, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების სათანადო პერსონალმა, გთხოვთ უზრუნველყოთ:

— აღსაზრდელებისა და მოსწავლეების მისაღებად დამტკიცებული დოკუმენტაციის ჩამონათვალში, კონკრეტულად ფორმა 100/ა — „ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“, პუნქტში, „ინფორმაცია ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ“ მონაცემების გადამოწმება ასაკობრივად ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ და აცრების ჩაუტარებლობის — გადავადების შემთხვევაში, მიზეზი სამედიცინო უკუჩვენება, თუ რის საფუძველზე არ ჩატარდა კონკრეტული აცრა);

— სააღმზრდელო დაწესებულებებში (ბაღებში) სათანადო პერსონალის მიერ მოხდეს აღსაზრდელის აცრის სტატუსის გადამოწმება და მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება ჩასატარებელი პროფილაქტიკური აცრების შესახებ;

— ეპიდჩვენებით აცრების ჩატარების, ეპიდემიური აფეთქებების და/ან ეპიდემიების დროს მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიოთ ტერიტორიულ რაიონულ/მუნიციპალურ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ვაქცინაციისა და სხვა აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად;

— მშობლებმა დროულად უზრუნველყონ ბავშვის ვაქცინაციის სტატუსის გადამოწმება და ასაკის შესაბამისი აცრების ჩატარება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში;

— ასევე აცრების შესახებ სათანადო ინფორმაციის წარდგენა საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მოთხოვნის შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ხორციელდება 30 წლამდე ასაკის არავაქცინირებული პირების ერთჯერადი უფასო ვაქცინაცია წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და პრეკვალიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობითა და უსაფრთხოების მაჩვენებლით.

შეგახსენებთ, რომ აცრები უფასოა, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“, — აცხადებენ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.

ამასთან, ცენტრი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე რეკომენდაციაზე ამახვილებს ყურადღებას — „ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილებისთვის საკმარისია რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

არ გადაირბინო გზაჯვარედინზე;

ქუჩაზე გადასვლისას არ მოადუნო ყურადღება;

ქუჩაზე გადასვლისას თავი შეიკავე ყურსასმენების გამოყენებასა და ტელეფონით საუბარზე;

ნუ იქნები იმის იმედად, რომ მოახლოებული მანქანის მძღოლი შეგამჩნევს და დაამუხრუჭებს;

დაელოდე მანქანის გაჩერებას, მხოლოდ შემდგომ გადაჭერი ქუჩა;

საღამოს საათებში, ხილვადობის გასაუმჯობესებლად, ჩაიცვი ნათელი შეფერილობის ტანსაცმელი;

ისარგებლე ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი მიწისქვეშა თუ მიწისზედა გადასასვლელით.

წყარო:IPN

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

◎ ალიან-ჩალიანი

სკოლის დირექტორებთან შეხვედრა გრძელდება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი სკოლის დირექტორების კონსულტირების პროცესის მიმდინარეობას გაეცნო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ცენტრის ტრენერ-კონსულტანტები სკოლის დირექტორებს უკვე რამდენიმე დღეა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტთან, შიდა შეფასებასთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევენ.

კონსულტაციების მიზანია, სკოლამ ხარვეზების გარეშე შეძლოს შეფასების ჯგუფების შექმნა და შეფასების პროცესის განხორციელება. ამ მიმართულებით ცენტრი სქემის დანერგვის სხვადასხვა ეტაპზეც გააგრძელებს კონსულტაციებისა და ტრენინგების განხორციელებას.

ორ ქვეყანას კულტურული ურთიერთობა დააახლოებს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ავსტრიის რესპუბლიკის ხელოვნების, კულტურის, საკონსტიტუციო და მედიის საკითხებში ფედერალურმა მინისტრმა იოსებ ოსტერმაიერმა ვენაში ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცელარიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის — ხელოვნებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ერთობლივი პროექტების განხორციელებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა თუ კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარების მიმართულებით. გარდა ამისა, ავსტრიის მხარე ქართულ მხარეს დაეხმარება კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მემორანდუმის საფუძველზე, ავსტრია საქართველოს პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ მიმართულებით საკუთარ გამოცდილებასაც გაუზიარებს.

ხელმოწერის ცერემონია ავსტრიის ფედერალურ კანცელარიაში შედგა.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

იაპონიაში წყალდიდობის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა

იაპონიის რამდენიმე პრეფექტურაში სამაშველო სამუშაოები გრძელდება. „ევრონიუსის“ ცნობით, წყალდიდობის გამო იბარაკისა და ტოტიგის რეგიონებში ასობით ადამიანი გადაადგილებას ვერ ახერხებს. გავრცელებული ინფორმაციით, სამი ადამიანი დაიღუპა, 25 კი კვლავ დაკარგულია. მიმდინარეობს მათი სამძებრო სამუშაოები. ასობით ადამიანმა მთელი ღამე ღია ცის ქვეშ გაატარა.

სინოპტიკოსების ცნობით, იაპონიაში დღესაც გადაუღებელ წვიმას ელოდებიან. რამდენიმე ადგილას არის მეწყერის საშიშროებაც. 410 000 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა ქალაქ სენდაიდან. იაპონიაში სტიქიას უკვე მესამე დღეა ებრძვიან. გადაუღებელი წვიმა და მეწყრები ტაიფუნმა „ეტაუმ“ გამოიწვია.

„ნასამ“ გამოაქვეყნა პლუტონის ახალი სურათები - მეცნიერებმა მათში აღმოაჩინეს რელიეფის რთული ფორმები

სურათები, რომლებიც გადმოსცეს კოსმოსური აპარტით, უჩვენებენ ჯუჯა პლანეტის რელიეფის სხვადასხვა სახეობასა და სირთულეს. მეცნიერთა სიტყვებით, პლუტონის ზედაპირი თავისი სირთულით არაფრით ჩამორჩება მარსს.

ამერიკაში ეჭვი აქვთ „ისლამის სახელმწიფოს“ ბოევიკების მიერ დამოუკიდებლად ქიმიური იარაღის მომზადებაში

ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რამდენჯერმე გაჩნდა ცნობა რუსეთის ფედერაციაში ექსტრემისტული ორგანიზაციის მიერ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. ამერიკელი ჩინოვნიკების მონაცემებით, ვაშინგტონს აქვს ინფორმაცია ქიმიური იარაღის სულ ცოტა ოთხი გამოყენების შესახებ ბოევიკების მიერ სირიისა და ერაყს შორის საზღვარზე.

პოროშენკომ „თავშეკავებული ოპტიმიზმით“ აღნიშნა, რომ დონბასში გასული დღე-ღამის განმავლობაში გასროლა არ ყოფილა

უკრაინის ლიდერმა პოზიტიურად შეაფასა უკანასკნელი საუბარი „ნორმალურ“ ფორმატში და შესთავაზა მსოფლიო გაერთიანებას, დაიწყონ ოპერაცია დონბასში მინსკის შეთანხმებათა მხარდაჭერისათვის. ზოგიერთი ექსპერტი დონბასში საბრძოლო მოქმედებების მიწყნარებას უკავშირებს ვლადიმერ პუტინის მომავალ ვიზიტს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე.

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლომ სამუშაო დროის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

დრო, რომელიც დასაქმებულს სამუშაო ადგილამდე მისვლისთვის და უკან, სახლში დაბრუნებისთვის სჭირდება, არის სამუშაო დრო. შესაბამისი გადაწყვეტილება ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლომ გამოიტანა. საქმე ეხება იმ დასაქმებულებს, რომელთაც ერთი კონკრეტული სამუშაო ადგილი არ აქვთ. მათ შორის არიან მომვლელები, ხელოსნები, გაყიდვების აგენტები. სამუშაო ადგილამდე მისვლისა და უკან წამოსვლის დროს დამსაქმებელთა უმრალესობა ამ დრომდე სამუშაო დროდ არ მიიჩნევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ევროკავშირის რეგულაციებს არღვევდნენ. სამუშაო დროის შესახებ ევროკავშირის დირექტივა განსაზღვრავს თუ რამდენ საათს უნდა მუშაობდეს დასაქმებული და რამდენსნიანი შესვენება და რამდენი დასვენების დღე ეკუთვნის მას. რეგულაციის მიხედვით, ევროკავშირში დასაქმებული არ არის ვალდებული კვირაში საშუალოდ 48 საათზე მეტი იმუშაოს.

ურუგვაი ცდილობს, მოანესრიგოს იმ სირიელი ლტოლვილების ყოფა-ცხოვრება, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ქვეყანაში ცხოვრების დონით

სამხრეთამერიკულმა ქვეყანამ 2014 წლის ოქტომბერში სირიიდან 42 ლტოლვილი მიიღო. მაგრამ გასული ორშაბათიდან მათ მოაწყვეს დედაქალაქ მონტევიდეოში საპროტესტო აქცია, მოითხოვენ, რომ ხელისუფლება დაეხმაროს მათ, წავიდნენ სხვა ქვეყნებში. მიგრანტების სიტყვებით, ურუგვაიში ცხოვრება ძალიან ძვირია და მათ ძალიან ცოტა ეკონომიკური შესაძლებლობა აქვთ განვითარებისათვის.

სახელმწიფო დეპარტამენტში არ გამორიცხავენ, რომ სირიაში დაიწყოს დაპირისპირება რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის მიერ შექმნილი კოალიციის ძალებს შორის

ამერიკის პრეზიდენტის სპეციალურმა წარგზავნილმა, რომელიც კურირებას უწევს გლობალური კოალიციის ბრძოლის საკითხებს ექსტრემისტული დაჯგუფების წინააღმდეგ, სი ენ ენისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ ბაშარ ასადის მხარდაჭერა — „ეს ძალიან ცუდია“. მისი სიტყვებით, სირიის არაბეთის რესპუბლიკაში ძირითადი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის პრეზიდენტს აკისრია.

გაეროს შტაბ-ბინაზე პალესტინის დროშასაც აღმართავენ

აღნიშნულ ინიციატივას ორგანიზაციის 193 წევრი ქვეყნიდან 119-მა მისცა ხმა. შესაბამის რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა ისრაელმა და აშშ-მა. ისრაელის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პალესტინის დროშის აღმართვის გადაწყვეტილება გაეროში პალესტინის როგორც სახელმწიფოს გაწევრიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, რასაც ოფიციალური თელ-ავივი არასოდეს შეეგუება.

გავრცელებული ცნობით, დროშას გაეროს შტაბ-ბინაზე 30 სექტემბერს აღმართავენ, რა დროსაც პალესტინის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოვა. პალესტინა გაეროს არაწევრი დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს. მან ეს სტატუსი 2012 წელს მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს გაეროს ასამბლეებსა და დებატებში მონაწილეობის უფლება.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRP II)
კრედიტის №5078-GE, სესხი #8143–GE
პროექტის №P122204
დავალების სახელწოდება: ხარჯთაღმრიცხველი
კონტრაქტი/ RFP # SLRPII/CS/ICS-04
საიდენტიფიკაციო SLRPII PP, პუნქტი No. 36.1

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** განსახორციელებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **ხარჯთაღმრიცხველი.**

დავალების საერთო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

- კვალიფიცირებული პროფესიონალი ინჟინერი სულ მცირე 10 წლის გამოცდილებით, მათ შორის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ერთეული ფასების გაანგარიშებაში;
- ინგლისურ ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 25 სექტემბრის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
Credit No. 5078-GE; **Loan No.**8143-GE
Project No. P122204
Assignment Title: Cost Estimator
Contract/RFP No: SLRPII/CS/ICS-04
Reference No. SLRPII PP, Item No. 36.1

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Cost Estimator.**

The estimated duration of assignment is 12 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Cost Estimator will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 ("Consultant Guidelines").

Required Qualification of the Consultant:

- Qualified professional engineer with at least 10 years of experience, including at least 5 year experience in calculation of unit rates;
- Knowledge of English language will be a plus;

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information by email: i

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **September 25, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)
კრედიტის/სესხის № IBRD 8402-GE
პროექტის №: P148048
დავალების სახელწოდება: ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტირების, გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტის ფარგლებში საერთაშორისო ბაკურციხე-წნორის გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის
კონტრაქტი/REP № SLRPIII/CS/QCBS-04
საიდენტიფიკაციო №: SLRPIII PP, პუნქტი №28

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხელნებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტირების, გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტის ფარგლებში საერთაშორისო ბაკურციხე-წნორის გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის“.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, კორპორატიული პროფილი.

შერჩევის კრიტერიუმებია:
- ზოგადი გამოცდილება.
- ანალოგიური გამოცდილება.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 8 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთაიანდნენ სხვა ფირმებთან ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონსულტანტის სახით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 25 სექტემბრის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit/Loan No: IBRD 8402-GE
Project No. P148048
Assignment Title: Preparation of Feasibility Study, Preliminary Design, Environmental and Social Impact Assessment and Bidding Documents for Design-and-Build Contract for Construction of the International Road Bakurtsikhe-Tsnori road section
Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-04
Reference No. SLRPIII PP, Item No.28

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of Feasibility Study, Preliminary Design, Environmental and Social Impact Assessment and Bidding Documents for Design-and-Build Contract for Construction of the International Road Bakurtsikhe-Tsnori road section".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:
General experience;
Similar experience;

Estimated duration of assignment is 8 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's G, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (**Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association**) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method for a lump-based contract set out in the World Bank's G, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than
September 25, 2015, 17:00 hours.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Division of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ კალათბურთი

გუნდი გვყავს და ქუდი გვხურავს!..

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო – ნათქვამია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ბუნებრივია, თუ ასარჩევად გვექნება საქმე, მეორე ვარიანტი სჯობს, რაშიც საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა დაგვარწმუნა – ევრობასკეტის პლეიფში გასვლით იგორ კოკოშკოვის გუნდმა ელიტაში შეაბიჯა და ხვალ საფრანგეთის ქალაქ ლილში, სადაც დღეიდან აღნიშნული ფორუმი გაგრძელდება, მერვედფინალურ მატჩს ლიტვასთან 23 საათზე გამართავს. არადა, გემახსოვრებათ, სამი სასტარტო, განსაკუთრებით ჰოლანდიასთან შეხვედრის წაგების შემდეგ „ჯვაროსანთა“ პერსპექტივა ლამის გამოვიტირეთ.

ხორვატეთი – საქართველო 58:71

მართალია, ჩვენი ჯგუფის მასპინძლებს პროგრამა – მინიმუმი უკვე შესრულებული ჰქონდათ და მეორე პოზიციას ვერავინ წაართმევდათ, მაგრამ პოსტიუგოსლავიური სკოლის თუნდაც უმოტივაციო წარმომადგენელთან მისსავე სარბიელზე მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვება მაინც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული სპორტის მატიანეში.

დიახ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა „ზაგრებ არენაზე“ ბალკანელთა წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული მონოლითური კრებული იბრძოდა, რომელიც საჭიროებისდა მიხედვით წარმატებით აგუგუნებდა როგორც სოლო, ისე გუნდურ არიებს. იმედი ვიქონიოთ, ფაჩულია, შენგელია, მარკოიშვილი, სანიკიძე, ცინცაძე, სანაძე, პულენი და ძმანი მათნი ამაყად გვათქმევინებენ – წლევანდელ შემოდგომაზე წიწილების მსუყე მონაგარი დავითვალეთო.

დაგვეთანხმებით, მადლიერების სტრიქონებს იმსახურებენ სლოვენიელი და ბერძენი კალათბურთელებიც, რომლებმაც პატიოსანი თამაშის პრინციპებს უერთგულეს და მიუხედავად იმისა, რომ ლოკალური ამოცანა უკვე გადაჭრილი ჰქონდათ, მაინც დაამუხრუჭეს ჩვენი უშუალო კონკურენტები – მაკედონია და ჰოლანდია. მოკლედ, ყველა არ იყიდება!

მერვედფინალში ითამაშებენ: ლატვია – სლოვენია, საბერძნეთი – ბელგია, ესპანეთი – პოლონეთი, საფრანგეთი – თურქეთი (დღეს), ხორვატეთი – ჩეხეთი, სერბეთი – ფინეთი, ისრაელი – იტალია, ლიტვა – საქართველო (ხვალ).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ოზილის ახალი გულის სწორი

მას შემდეგ, რაც ბრიტანეთში საბურთაოდ ჩასული გერმანელ-თურქი ფეხბურთელი მესუთ ოზილი თავის ცოლს დაშორდა, მისი ცხოვრების „ბნელი“ მხარეები იმწამსვე გახდა საზოგადოების ინტერესის საგანი და მთელი ბრიტანული მედია, ვითარცა მონადირე, ისე იყო ჩასაფრებული ოზილთან დაკავშირებულ ამბებზე.

„ყვითელი“ პრესის მცდელობებმა სათანადო შედეგი უკვე გამოიღო და „აღმოჩენილია“ ოზილის ახალი სატრფო, კეკლუცთა შორის უკეკლუცესი თურქი მოდელი ამინ გულსე, რომელთან ერთად მესუთი ლონდონის „ბრჭყვიალა“ დაწესებულებებში შეამჩნიეს და ამათაც მეტი რაღა უნდოდათ?...

ამინ გულსე რამდენიმე წლის წინათ, „მის თურქეთის“ წოდებასაც დაეუფლა და ამ ქალზე ოსმალეთში არაერთ ულვაშებშეღერებულ თუ უულვაშო მამრს აბოდებდა, მაგრამ მესუთმა ყველას აჯობა და მიუხედავად იმისა, რომ ამინ გულსესთან მისი რომანი ჯერ არ დადასტურებულა, ეს ამბავი უკვე მთელ თურქეთს მოედო.

როსტომ რაჭველიშვილი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს ეგხ. ვარძიის ქვესადგურ მარნეული 500-ში შეჭრის პროექტისათვის საძირკვლების და მასთან დაკავშირებული ლითონნაკეთობების შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ სახეობებსა და რაოდენობებზე:

რკინაბეტონის საძირკვლის ბლოკები და ფილები						
#	დასახელება	ტიპი	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის მოცულობა m^3	საერთო მოცულობა m^3
1	საძირკველი	Ф2-05	4	ცალი	0.95	3.8
2	საძირკველი	Ф3-А5М	30	ცალი	1.8	54
3	საძირკველი	Ф5-А5М	18	ცალი	2.50	45
4	საძირკველი	Ф6-А5М	12	ცალი	2.7	32.4
5	საანკერო ფილა	ПА2-2	4	ცალი	0.89	3.56
6	მისაყვირთი ფილა	ПН-1-А	24	ცალი	0.76	18.24
	სულ რკინა-ბეტონის კონსტრუქციები					**157**

ლითონნაკეთობები						
#	დასახელება	ტიპი	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის წონა, კგ	საერთო წონა, კგ
1	ფოლადის ანკერი	А2-1	8	ცალი	58.0	464
2	გამანაწილებელი შუასადები	Б-12	60	ცალი	12.8	768
3	საანკერო ჭანჭიკი 2 ქანჩით და 1 საყელურით	М42-200	240	კომპლ.	6	1440
4	საანკერო ჭანჭიკი 2 ქანჩით და 2 საყელურით	М36Х220	144	კომპლ.	3.2	460.8
	სულ ლითონნაკეთობები					**3132.8**

● **შენიშვნა:**
რკინაბეტონის საძირკვლები უნდა შეიღებოს ორი ფენა ბიტუმის ხსნარით.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს იალღუჯის მთაზე მდებარე მარნეულის ქვესადგური 220-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მითითებულ წერტილებში (დეტალური კოორდინატები **(სიტუაციური გეგმა)** მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში). საქონლის სრულად მოწოდების სასურველი ვადაა 45 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან. საქონლის მოწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად.

● საქონლის ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხარჯს, მათ შორის: ტრანსპორტირების და დატვირთვა/ჩამოცლის ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში. შესაძლებელია საავანსო გადახდა სატენდერო დოკუმენტში მითითებული პირობებით.

● სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირ ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) თითოეული ეტაპისათვის შეადგენს არანაკლებ 2000 (ორი ათასი) ლარს.

● საქონლის ან/და გამოსაყენებელი მასალების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ხარისხის სერტიფიკატი ან/და დამამზადებელი ქარხნის პასპორტი. საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი.

● საქონელს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს. საგარანტიო ვადა უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 7 (შვიდი) წელი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა №GE98LB0113117903752000 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის №T-03G-03/2015.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 500-ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2015 წლის 21 სექტემბრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 22 სექტემბრის 15:00 საათამდე თბილისის დროით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2015 წლის 22 სექტემბერს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:
1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:
1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.
ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა სერტიფიკატებისა და ქარხანა-დამამზადებლის პასპორტების ასლებისა), ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე, იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში, მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს, უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-03G-03/2015.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ნიმუში;
ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;
გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;
დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.
აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.
დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.
ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.
საკონტაქტო პირი: შესყიდვების მენეჯერი **თეა ტორიაშვილი,** ტელ: 577625485, ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge;

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

◎ ხსოვნა გულისა

ხომ ჩამოაგდებთ ჩემს საფლავზე ერთ ცრემლსო...

ამქვეყნად მოსულს არ აქვს სასრული, თუ სული მისი იტევს ქვეყანას...

როგორც ყველა შემოქმედს, ზაირა არსენიშვილს, უპირველეს ყოვლისა, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ურთიერთკავშირი აღელვებდა. მის რომანებსა და მოთხრობებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გარდაცვალებას, მასთან დაკავშირებულ ფიქრს და განსჯას, თვით გაპატიოსნება-დაკრძალვის რიტუალს. ყოველ-დღიურობაშიც უტრიალებდა ამ თემას. ახლობლებს ხშირად მოგ-ვმართავდა: ხომ ჩამოაგდებთ ჩემს საფლავზე ერთ ცრემლსო.

ჩქარობდა. დილიდან საღამომდე იჯდა საწერ მაგიდასთან. როდესაც ამის გამო ვსაყვედურობდით, პასუხი ერთი იყო: — არა, უნდა მოვასწრო! რომანს ვწერ კინოზე, ანუ ჩემს და ჩემს მეგობართა, უპირველეს ყოვლისა, ლანას ცხოვრებაზეო.

გრძნობდა დასასრულის მოახლოებას და ბუნებრივია, ეშინოდა კიდეც მისი. მე როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი: ხომ იცი, საქმეში მდგომ გუთნისდედას სიკვდილიც კი უქცევს გვერდს-მეთქი. მერე ლექსიც შევაშველე, სათაურით „წუთისოფელი.“

მავანი იტყვის — ხანმოკლეა წუთისოფელი...
მოგაგონდება თაკარა დღე, წისქვილის წყალი,
ლელქაშის ჩრდილი, მოლივლივე მზის ათინათი,
ნემსიყლაპია გარინდვით მფრენი და
გამოწვდილი მეგობრის ხელი,

ციდან ჩამოდის კვირიონთა სევდიანი ხმა.
ბოლნარევ ნიავს ძაღლის ყეფა მოყვება რწევით
და მამლის ყივილს
იტაცებს ჩქერი.
წამით ჩერდება ყოველივე და
იტვიფრება გულის სიღრმეში
ფოთლისა მსგავსად,
დავანებულს უხსოვარ შრეში.

მავანი იტყვის — ხანმოკლეა
წუთისოფელი...
ამქვეყნად მოსულს არ აქვს
სასრული,
თუ სული მისი იტევს ქვეყანას.

„წუთისოფელი“ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა, ამოვჭერი და წარწერით — „ზაირას მხარდამჭერი ლექსი“ თბილისში გავუგზავნე. არ ვიცი, რამდენად მოჰგვარა შვება ამ სტრიქონებმა მაშინ ზაირას, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მის ნაწარმოებებს და შესაბამისად მათ შემომქმედსაც, სასრული არ აქვს. ამის დასტურია, მზარდი და ერთგული მკითხველი და კიდევ მისი რომანების ფრანგულ, სპარსულ, რუსულ ენებზე თარგმნა — გამოცემის რეალური პერსპექტივა.

ზურაბ არსენიშვილი
ქ. თელავი

◎ ინფორმაცია

ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნილია

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა. პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და კანადის მოქალაქის კუთვნილი 75 000 აშშ დოლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, 3 პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით დამნაშავედ სცნო.

საქართველოს მთავარ პროკურატურას კანადის მოქალაქემ კურტის მარტინ მაკმილანმა მომართა და განაცხადა, რომ ელექტრონული ფოსტის გატეხვის შედეგად, მისივე კომპანიის ანგარიშიდან, უცხო პირების მიერ მოტყუებით, კანადიდან საქართველოში არსებული ერთ-ერთი კომპანიის ანგარიშზე გადარიცხა დიდი ოდენობით თანხა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება თაღლითობის ფაქტზე დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ 3 პირი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუკავშირდა კანადის მოქალაქეს მისი ბიზნეს-პარტნიორის სახელით და საქართველოში ერთ-ერთ საბანკო ანგარიშზე მოტყუებით გადმოარიცხინა 75 000 აშშ დოლარი. ჩატარებული გამოძიების შედეგად პროკურატურამ დააკავა დანაშაულის ჩამდენი პირები, მათ შორის ერთ-ერთი ნიგერიის მოქალაქეა, ამოღებულ იქნა დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხა 75 000 აშშ დოლარი.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაზარალებულს სრულად დაუბრუნა თაღლითობის შედეგად ბრალდებულების მიერ მისაკუთრებული თანხა.

◎ გელადეგიც იცინიან

ასეთი ოხუნჯობა მხოლოდ სტალინს შეეძლო...

მკაცრი ხუმრობით შეფარული პოლიტიკური იუმორი

ისტორიკოსები ხშირად დავობენ იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა სტალინს იუმორის გრძნობა, ის ხომ ხუმრობდა საკმაოდ სპეციფიურად. სტალინი იძლეოდა მახვილგონივრულ შედარებებს, მაგრამ ამ შედარებისგან რაღაც ცუდ ხასიათზე დგებოდი. ზოგიერთმა სახუმარო გამონათქვამებმა გავლენაც კი მოახდინეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე.

Ofigenno.cc-ის რედაქცია გთავაზობთ რამდენიმე რეალურ ისტორიას, რომელიც სტალინს ახასიათებს როგორც მკაცრ ხუმარას.

1. ავტომობილ „პობედასთვის“ თავდაპირველად უპირებდნენ დაერქმიათ სახელი „როდინა“. როდესაც ამის შესახებ გაიგო, სტალინმა ირონიულად იკითხა: „რა ელირება სამშობლო?“ ვარიანტი უმალვე მოიხსნა.

2. როდესაც წყდებოდა საკითხი, თუ რა უნდა გაეკეთებინათ გერმანიის სამხედრო ფლოტისათვის, სტალინმა დააყენა წინადადება, გაეყოთ იგი შუაზე, ჩერჩილმა კი წამოაყენა შემხვედრი წინადადება: „ჩავძიროთ“. იოსებ ბესარიონის ძემ უპასუხა: „აი თქვენ თქვენი ნახევარი უკვე ჩაძირეთ“.

3. სტალინი შეეკითხა მეტეოროლოგებს, თუ როგორია მათი პროგნოზების სიზუსტის პროცენტი. როდესაც გაიგო, რომ 40 პროცენტია, მან უმალვე ურჩია: „თქვენც ილაპარაკეთ პირიქით, და გექნებათ 60 პროცენტი“.

4. ომის დროს, სტალინმა ბაიბაკოვს დაავალა ახალი ნავთობსაბადოების აღმოჩენა. როდესაც მან უარი განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია, სტალინმა უპასუხა: „იქნება ნავთობი — იქნება ბაიბაკოვი, არ იქნება ნავთობი — არ იქნება ბაიბაკოვი!“. რისი ბრძანებაც იყო — იგი შესრულდა.

5. 1945 წელს იალტის კონფერენციის დროს წყდებოდა საკითხი ევროპული საზღვრების გადაკეთების შესახებ. და ჩერჩილმა რუზველტთან ერთად შესთავაზა სტალინს: „იოსებ ბესარიონის ძევ! მოგვეცით ჩვენ ყირიმი, ამისთვის ჩვენ შენ მოგცემთ გერმანიის ასეთივე მოცულობის მონაკვეთს. სტალინი ცოტა ჩაფიქრდა და მისთვის დამახასიათებელი აქცენტით უპასუხა: „თუ გამოიცნობთ ჩემ გამოცანას, მოგცემთ თქვენ ყირიმს“. და კოლეგებს პოლიტიკურ საქმიანობაში თავისი მარცხენა ხელის სამი თითი უჩვენა: დიდი, შუათითი და საჩვენებელი. „რომელია ამ სამი თითიდან შუა თითი? ჩერჩილს გაუკვირდა გამოცანის სიმარტივე და ხელი წაავლო საჩვენებელ თითს „აი შუა თითი“. „არრა..., ვერ გამოიცანი“, — უპასუხა სტალინმა. რის შემდეგაც გააკეთა ბრაწი თავისი მარცხენა ხელის თითებიდან და უჩვენა იგი ჩერჩილს რუზველტთან ერთად: „აი, შუა თითი! აი თქვენ ჩვენი ყირიმი!“

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87**

◎ მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღეღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 293-37-87 (03. მაჩაბლის 7), იკითხეთ კუკური.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ თავიანთი გაზეთის მეგობარსა და გამავრცელებელს ვერა სამხარაძეს ქალიშვილის

ოლია სამხარაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

რუსთავში ავარია მსხვერპლით დასრულდა

რუსთავში, რუსთაველის ქუჩა №16-თან ავტოსაგზაო შემთხვევას 69 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. რუსთაველისა და ბათუმის ქუჩების კვეთაზე ერთმანეთს „ფოლკსვაგენისა“ და „ჟიგულის“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

შეჯახების შემდეგ „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომობილი ამოტრიალდა და გზაზე გადამსვლელ მამაკაცს შეეჯახა, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

„ჟიგულისა“ და „ფოლკსვაგენის“ მძღოლები კი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არ დაშავებულან.

ავარიის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

ვენდეტა ქობულეთში



ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე ერთ-ერთი მარკეტის მფლობელი დაჭრეს. როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, ამ შემთხვევის შემდეგ მოხდა მეორე ინციდენტიც და მარკეტის მეპატრონის შვილმა სავარაუდოდ, დანით ის პირი დაჭრა, ვინც მამამისს ჭრილობები მიაყენა. ორივე დაჭრილი ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული.

სამტრედიაში მრავალწლიანი ნაძვის ხეები იჩეხება

სამტრედიაში, №4 საჯარო სკოლის ეზოში მრავალწლიანი წიწვოვანი ნაძვის ხეები მოჭრეს, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა.

როგორც ადგილობრივებმა განაცხადეს, ხეების მოჭრა უსაფუძვლოდ მოხდა.

„ვის უნდა მოვთხოვოთ ხეების მოჭრაზე პასუხი. პასუხისმგებელი მაინც არავინ იქნება“, — აცხადებენ ადგილობრივები.

როგორც სამტრედიის გამგეობაში აცხადებენ, ხეები სკოლის დირექციის მიმართვის საფუძველზე მოიჭრა.

◎ სულიერება

დიდება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა სარტყელისა და მისი თაყვანისცემისა

13 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ქრისტიანული ეკლესია დღესასწაულობს დიდებასა და თაყვანისცემას პატიოსნისა სარტყლისა წმიდისა ღვთისმშობლისაი.

ყველა ქრისტიანისთვის ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი – ქრისტიანული ეკლესიის დიდი სიწმინდე, რომელიც „საქმე მოციქულთას“ მოწმობით დედა ღვთისმშობელმა მიაბარა მოციქულ თომას, მისი მიძინების შემდეგ ინახებოდა იერუსალიმში.

საგულისხმოა, რომ იმპერატორ არკადის (395-408) დროს სარტყელი დაიდო კონსტანტინოპოლის ვლაქერნის ტაძარში. მრავალი წლის შემდეგ იმპერატორ ლეონ ბრძენის დროს სარტყელმა სასწაულებრივად განკურნა იმპერატორის მეუღლე ზოია, რომელიც იტანჯებოდა უწმინდური სულისგან. დედოფალს ეჩვენა, რომ იგი განიკურნებოდა, თუკი მას დაადებდნენ ღვთისმშობლის სარტყელს.

პატრიარქმა სარტყელი დაადო დედოფალს... და, იგი მაშინვე განიკურნა. ამ სასწაულის შემდეგ ჩატარდა სადღესასწაულო წირვა ღვთისმშობლისადმი სავედრებელი ლოცვებით, ხოლო სარტყელი ისევ შეინახეს ყუთში და დაბეჭდეს. ეს პატიოსანი სარტყელი ხელში ჩაიგდო ბულგარეთის მეფემ, ხოლო 1251 წელს სერბმა თავადმა სარტყელი ათონის ვატოპედის ტაძარს შესწირა.

მინდა აღვნიშნო, რომ პატრიოსანი სარტყლის მეორე ნაწილი ინახება საქართველოში, ზუგდიდის ეკლესიაში, ბერძენმა იმპერატორმა რომანოზმა თავისი ძმისწული ელენე აფხაზთა და ქართველთა სახელგანთქმულ მეფეს ბაგრატ კურაპალატს გაგზავნა ცოლად. ელენემ, რომელიც ამ სარტყლის ძალით განიკურნა, სთხოვა ბიძას, რომ მისი ნაწილი შორეულ კუთხეში გაეტანებინა. ალექსანდრე I-ის ბრძანებით ზუგდიდში (სამეგრელოში) აიგო ქვის ტაძარი, სადაც კანკელის წინ ძვირფას საწანწალეში მოთავსებული სიწმინდე დღემდეა დაცული.

გილოცავთ ღვთისმშობლის პატიოსანი სარტყლის დადების დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ:** 599 168 171; 598 51 81 35.

სკანვორდი



რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ძვირფასო, რა საჩუქარი გესიამოვნებოდა ყველაზე მეტად დაბადების დღისთვის? – ეკითხება ცოლი ქმარს.

– თუ ერთი დღით დამუნჯდებდი და დაყრუვდებოდი!

* * *

– ვის უფრო უსმენ, მამას თუ დედას? – ეკითხებიან პატარა მიხოს.

– დედას!

– რატომ?

– იმიტომ, რომ იგი უფრო მეტს ლაპარაკობს.

* * *

კარზე ზარი ირეკება. დიასახლისი კარს აღებს. ზღურბლთან დგას სუფთად გაპარსული, მოდურ კოსტიუმში გამოწყობილი, გაპრიალებულ-ფეხსაცმლიანი და კეისიანი მამაკაცი.

– სანტექნიკოსი გამოიძახეთ? – კითხულობს იგი.

– დიახ... და თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე მისი იმპრესარიო ვარ.

* * *

– მივხვდი, რომ ჩემი ცოლი მანქანას ჩემზე უკეთ მართავს! მე ხელის მუხრუჭამოწეულ მანქანას ადგილიდან ვერ ვძრავ, ის კი ასე მთელი დღე დადის...

* * *

– უპაცრავად, ჩემი ჩანთა ხელს ხომ არ გიშლით? თუ გიშლით, მითხარით და გავწევ. – ეუბნება ტიპი სამარშრუტო ტაქსში გვერდით მჯდომს.

– არა, ყველაფერი ნორმალურადაა.

– მე კი, მგონია, რომ ხელს გიშლით, ჩემი აზრით, მის გამო უხერხულად ზიხართ.

– ნაწილობრივ კი ხართ მართალი.

– მაშინ, უმჯობესია, რომ გავწიო?

– კარგი, გაწიეთ.

– სად გავწიო, შე იდიოტო! სად არის გასაწევი ადგილი?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე